

# კოპენტატიორი

№6



ფასი: 1,50 ლარი

საფეხბურთო ჟურნალი, რომელიც არ ძველდება

ინსუკვიუ  
უჩანს  
პეპენა უკოან

ფიქსი  
იგაღია

ბარსელონა

„ოქროს ნაპეპის“  
პეის წიგნი



დეფორმირებული  
ქართული  
ფეხბურთი

მთავარი რედაქტორი

ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი



მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების მეექვსე ბურთი.  
შვეცია, 1958 წელი.

**დაგვიკავშირდით, ჩვენთან რეკლამა მოგზავნიანია თქვენი წარმატებისთვის!**

დამფუძნებლები:

კობა ბელოიძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50

<http://bedoidze.site.ge/>

ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;

ელფოსტა: [kbedoidze@hotmail.com](mailto:kbedoidze@hotmail.com)

[tariel1981@hotmail.com](mailto:tariel1981@hotmail.com)



# ლირსაუდი კანდიდატი



როდესაც მშობლიური საფეხბურთო ნაკრები ან კლუბი საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას მიაღწევს – დაწყებული ფეხბურთის მცოდნე ქომაგებიდან, დამთავრებული ამ თამაშთან მწყრალად მყოფ ადამიანებამდე, ყველა სიხარულის საბურველში გაეხვევა ხოლმე...

ასე ხდება, როცა ჩვენი სასახელო რაგბისტები იმარჯვებენ, რადგან ფეხბურთიცა და რაგბიც

გუნდურ თამაშთა რიცხვს განეკუთვნებიან. გუნდურ სპორტში დიდი გამარჯვებების მიღწევა ქვეყანაში ერთიანობის ხარისხსაც უფრო აუმჯობესებს, იმიტომ, რომ ცხოვრებაშიც და სპორტშიც გრანდიოზულ მიზნებამდე მისვლა, ერთიანობით, ერთ ჯანსაღ გუნდად გადაქცევით შეიძლება მოხერხდეს!

სამწუხაროდ რაგბისგან განსხვავებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მალაჩრინოსანთა უნი-ათო გარჯის შედეგათ, ქართული ფეხბურთი სულს ლაფავს. სპორტის ნომერ პირველ სახეობაში ბევრი რამ არის სასიკეთოდ შესაცვლელი და სწორედ ამ დროს, ღირსეულმა კაცმა, დიდმა ფეხბურთელმა, რომელსაც ბევრისაგან განსხვავებით არ სჩვევია იაფფასიანი საუბარი და ამა თუ იმ ყვითელი გადაცემიდან პრანჭვა-გრეხვა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2015 წლის არჩევნებზე, თავისი კანდიდატურა ოფიციალურად დაადასტურა.

ეს კაცი არის ვლადიმერ გუცაევი, რომელმაც თავის დროზე „ლივერპული“ გაოცებული დატოვა, „ბაიერნის“ ფეხბურთელებს პირი დააღებინა, იმ ტურნირში სადაც „რეალი“ მონაწილეობდა საუკეთესო მოთამაშე გახდა, ევროპის თასების მფლობელთა თასის: მეოთხედფინალში, ნახევარფინალში და ფინალში გოლები გაიტანა და ასე შემდეგ...

ის კი, არ ტრაბახობს, არ პოზირებს, თავი არ მოაქვს... პარადოქსია მაგრამ ფაქტია არა? ფაქტია ისიც, რომ მას ქართული ფეხბურთი უყვარს. ვლადიმერ გუცაევი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებაა, მას საქმის მალალ დონეზე შესრულება სჩვევია – რაც არაერთხელ დაამტკიცა... ჟურნალი „კომენტატორი“ ვლადიმერ გუცაევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას უსურვებს!

**ტარიელ კინწურაშვილი**

## სარჩევი

დეფორმირებული ქართული ფეხბურთი	4
დიდა	6
საინტერესო ფაქტები	7
ფორცა იტალია	8
ბარსელონა	12
მრავლისმეტყველი ფაქტები	14
ბარსელონა	16
„ოქროს ნაკრების“ ბედის წიგნი	19
ფრანც ბეკენბაუერი: „ ყველაზე დიდი სიამოვნება მსოფლიოს	
1970 წლის ჩემპიონატმა მომგვარა“	22
თემურ ქეცბაია	24
როგორ აგვისხნა ფეხბურთმა მსოფლიო	24
ამბავი გულშემატკივარს შეჩენილი ეშმაკისა	27

პრობლემა

# დაფორმირებული ქართული ფეხბურთი



ქართული ფეხბურთის ფენომენი გასული საუკუნის დასაწყისიდან უკვე იქნა აღიარებული ბევრი ქვეყნის მიერ. ჩვენი სიტყვების დასტურად მრავალი მაგალითის მოყვანა არის შესაძლებელი... „ნისლიანი ალბიონის“ ქვეყანაში აღმოცენებულმა თამაშ-ბურთაობამ საქართველოში უმალ მოიპოვა აღიარება. ბავშვები ფეხშიშველები აგორავებდნენ ბურთს.

საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ ფეხბურთის სპეციალისტს ანდრო ჟორდანას არ ეთაკილებოდა დაბალი დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება, სამაგიეროდ მომავალში მივიღეთ უმაღლესი დონის მწვრთნელი, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა.

ახლა აღარ დავიწყებთ ჩამოთვლას თუ რამდენი უმაღლესი ფეხბურთის ოსტატი აღზრდილა საქართველოში, რადგან მთავარი მაინც დღევანდელი დღეა.

ფეხბურთის მოყვარულები ხშირად საუბრობენ იმაზე თუ რა გვაქვს დღეს. შეიძლება ითქვას ქართული ფეხბურთი ათწლეულების წინ დამკვიდრდა სპორტულ სამყაროში. გასაგებია მათი მოსაზრება, ვინც არ იზიარებს „ქართული ფეხბურთის“ ფენომენს, რადგან მათი აზრით სპორტის ეს სახეობა საყოველთაო მსოფლიოში, თუმცა მათ ავინყდებათ ის გარემოება, რომ თამაშის ამ სახეობას ჩვენმა სპორტსმენებმა უდიდესი წვლილი შესძინეს. სამწუხაროდ ეს უკვე წარსულში იყო.


რა გვაქვს დღეს ქართული ფეხბურთის სასახელოდ? სამწუხაროდ არაფერი! ჩავუღრმავდეთ პრობლემებს და ჩვენი ქვეყნის ერის დისკრედიტაცია დნურავინ მიიღებს იმ შენიშვნებს, რაც გვაქვს

სიმართლის მთქმელ და არა შენიღბულ დიპლომატიას ამოფარებულ ჟურნალისტებს.

ათეული წლების წინ თითქმის ყველა ბავშვი სპორტით იყო დაკავებული. ძველად ჯერ ნომერი „11“, შემდეგ „10“, „9“ იყო პოპულარული. ცხონებული მიხეილ მესხის (უფროსი) ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, გარემარბად ვლადიმერ გუცაევი მოგვევლინა. დაუვინყარია მისი დებიუტი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში, როდესაც ჯერ კიდევ ჭაბუკი ფეხბურთელი ოვაციით მიიღო მაცურებელმა...

ახლა? საუბედუროდ თავს ვერაფრით ვინუგეშებთ. რატომ? – ამ კითხვაზე პასუხი ადვილიც არის და ძნელიც.

დავინყოთ კლუბებით... ვინ რა კრიტერიუმით არჩევს ჯერ მწვრთნელებს და შემდგომ ფეხბურთელებს გაუგებარია. დიას, საქმეში ჩახედული ადამიანი ვერ გაიგებს, რა სურთ კლუბების მესვეურებს. სეზონის დასაწყისში, იცოცხლეთ, დაპირებებს უხვად გვაძლევენ, ევროთასებზე წარმატებით გამოვალთო, მაგრამ როგორ, ამაზე არაფერს ამბობენ. თამაშის ხარისხს, მოდით თავი დავანებოთ და ვთქვათ აქვს კი ჩვენს გუნდებს რაიმე ტაქტიკა? – სამწუხ-





აროდ არა. ახალგაზრდა მოთამაშე, რომელიც ჯერ კიდევ 18-20 წლისაა შესაძლოა გუნდის გარეშე დარჩეს. რატომ? ამაზე პასუხი თავად მწვრთნელებსაც არა აქვთ. ლეგენდარული და ვით ყიფიანი 23 წლის შემდეგ გაიხსნა როგორც მოთამაშე. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვინ სად იკარგება არავინ უწყის.

საქართველოს ჩემპიონატი გაურკვეველ სიტუაციაში და ვადებში მიმდინარეობს. ვის რად სჭირდება მატჩი, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მიადევნებს თვალს, ისიც მხოლოდ ოჯახის ახლობლები. წვიმაში და თოვლში ფეხბურთის თამაში სანახაობას დაღს ასვამს. საბჭოეთის დროს ვაკრიტიკებდით, იმ ჩემპიონატს, რომელიც გაზაფხულზე იწყებოდა და შემოდგომით მთავრდებოდა. არ მოგვწონდა წვიმაში და უამინდობაში გამართული მატჩები – ახლა რატომ მოგვწონს? იქნებ ჩვენი საკუთარი ეროვნული ჩემპიონატი

სის „დინამოში“ ცხონებული ნოდარ ახალკაცი მივიდა მთავარ მწვრთნელად, იგი უკვე მომზადებული და ღვინეული მწვრთნელი გახლდათ, რომელმაც რამდენიმე აღიარებული მწვრთნელთან იმუშავა. შესაძლოა ვინმე შემოგვედავოს, მას უკვე მომზადებული შემადგენლობა დახვდა გუნდში, მაგრამ მათ შევეკამათებთ... თუნდაც იმიტომ, რომ ალექსანდრე ჩივაძე ახალკაცის მისვლამდე



ტანის დეფიციტს განიცდის.

სპორტში ერთი იმარჯვებს, მეორე კი მარცხდება - უამისოდ არ არსებობს შეჯიბრება და რას აკეთებს ამ დროს ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია? საუბედუროდ არაფერს. ამ რამდენიმე წლის წინ ქვემო ქართლის გუბერნატორმა პირადად სცემა (და არა მხოლოდ შეურაცხყო) არბიტრები, მაგრამ საქმე ჩაიფარცხა. სფფ-ამ არავითარი რეაგირებისა და პროტესტის ზომები არ მიიღო ამასთან დაკავშირებით! აი საიდან იწყება ჩვენი ფეხბურთის დაღმასვლა... თუ საკუთარ ჩემპიონატს პატივს არ ვცემთ, შეჯიბრებებს არ ვალიარებთ, განა სპორტი განვითარდება?

**ბი აურდული**

**„ღღეს ჩვენი ნაკრების წევრებს რა ვუსაყვედუროთ, როდესაც აგებენ მატჩს, რადგან მწვრთნელი მოთამაშეებს ქართული ფეხბურთისათვის შეუფერებელი უსუსური სტრატეგიით ათამაშებს, რის შედეგადაც გუნდი, ფეხბურთის მთავარ ხიბლს – გოლების გატანის დეფიციტს განიცდის.**

**სპორტში ერთი იმარჯვებს, მეორე კი მარცხდება - უამისოდ არ არსებობს შეჯიბრება და რას აკეთებს ამ დროს ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია? საუბედუროდ არაფერს. ამ რამდენიმე წლის წინ ქვემო ქართლის გუბერნატორმა პირადად სცემა (და არა მხოლოდ შეურაცხყო) არბიტრები, მაგრამ საქმე ჩაიფარცხა. სფფ-ამ არავითარი რეაგირებისა და პროტესტის ზომები არ მიიღო ამასთან დაკავშირებით! აი საიდან იწყება ჩვენი ფეხბურთის დაღმასვლა... თუ საკუთარ ჩემპიონატს პატივს არ ვცემთ, შეჯიბრებებს არ ვალიარებთ, განა სპორტი განვითარდება?“**

მოვაქციოთ იმ ჩარჩოებში, რომელიც ქართველებს გვანყობს და წაგვადგება. ამაზე უნდა დავფიქრდეთ.

საბჭოთა კავშირის დროს საქართველოს ნაკრებად ფეხბურთში თბილისის „დინამო“ ითვლებოდა. წყალი არ გაუვა, ასეც იყო. მოდით ახლა გავიხსენოთ როგორი ტაქტიკით თამაშობდა ჩვენი სასახელო გუნდი. „დინამომ“ პირველი ოფიციალური მატჩი ევროთასეებზე 1972 წელს გამართა – მას შემდეგ ბევრმა წყალმა და მოთამაშეებმა ჩაიარეს, მაგრამ დარჩა თამაშის შემტევი სტილი, რომელიც აღაფრთოვანებდა ნებისმიერ მაყურებელს. სამწუხაროდ ეს სტილი ქართულ ფეხბურთში დაკარგულია.

და ბოლოს მთავარი სათქმელიც უნდა ითქვას! როდესაც თბილი-

ნახევარმცველად თამაშობდა, – მან იგი ცენტრალურ მცველად განამწესა, რამაც გაამართლა და ჩივაძე თბილისის „დინამოს“ ლიდერად და მსოფლიო დონის მცველად ჩამოყალიბდა. ნოდარ ახალკაცმა იცოდა რომელ მოთამაშეს რა ფუნქციების შესრულება შეეძლო, ამიტომაც იყო „დინამო“ ძლიერი.

ღღეს ჩვენი ნაკრების წევრებს რა ვუსაყვედუროთ, როდესაც აგებენ მატჩს, რადგან მწვრთნელი მოთამაშეებს ქართული ფეხბურთისათვის შეუფერებელი უსუსური სტრატეგიით ათამაშებს, რის შედეგადაც გუნდი, ფეხბურთის მთავარ ხიბლს – გოლების გა-



**ქართული ფეხბურთის დასამარების უფლება არავის არა აქვს**

# საქართველო მაკარეები

## ღ ი ღ ა

1994 წლის მუნდიალის მერვედ-ფინალურ მატჩში, სადაც გერმანიის ნაკრები ბელგიელებს ანგარიშით 3:2-ს უგებდა, თამაშის ბოლო წუთებზე ბელგიელთა კიპერი – მიშელ პრიუდომი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ჩავიდა თავისი გუნდის დასახმარებლად. მაშინ ამ მოქმედებამ საფეხბურთო წრეებში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მას შემდეგ ამ ხერხს მეკარეები ძალიან ხშირად მიმართავენ. მოკლედ, თანამედროვე მეკარეები მათი წინამორბედებისგან სათამაშო სტილით განსხვავდებიან. მხედველობაში მაქვს სტილი და არა ოსტატობა, თორემ უმაღლესი კლასის მეკარეები ძველ დროშიც იყვნენ და დღესაც არიან, თუმცა ტრადიციულად, ყოველთვის იტალიის, გერმანიისა და ბრაზილიის სამეკარეო სკოლა გამოირჩეოდა. გვსურს სწორედ ბრაზილიელი კარის დარაჯი წარმოგიდგინოთ, რამეთუ ამ ქვეყნის სამეკარეო სკოლამ, განსაკუთრებით ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე დიდი პროგრესი განიცადა...

ნელსონ დიდა ბრაზილიელი

საფეხბურთო სამყაროში ყველა დროს მოიძებნებოდნენ ძლიერი და საიმედო მეკარეები. შორეულ წარსულში თუ გადავინაცვლებთ, შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ლეგენდარული გოლკიპერები, როგორებიც იყვნენ ჩეხოსლოვაკიელი ფრანტიშეკ პლანიჩკა და ესპანელი რიკარდო ზამორა. დრო გადიოდა და თანდათან მსოფლიო ფეხბურთი მდიდრდებოდა უძლიერესი მეკარეებით. წლების განმავლობაში გულშემატკივარი ალტაცებაში მოჰყავდა: გორდონ ბენქსის, ლევ იაშინის, ჟილმარ დოს სანტოს ნევესის, ზუპ მაიერის, რონი ჰელსტრიომის, დინო ძოფის და სხვათა უბადლო ოსტატობას.

წარსულთან შედარებით თანამედროვე გოლკიპერების ფუნქციები საგრძნობლად შეიცვალა. შეიცვალა საფეხბურთო წესიც, რომელიც უშუალოდ კავშირშია მეკარესთან. ვგულისხმობ წესს, რომელიც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დამკვიდრდა. იგულისხმება მეკარის მიერ ბურთის ხელებში დაფიქსირების აკრძალვა, თუ მან პასი თანაგუნდელისაგან მიიღო. ასევე მნიშვნელოვანი გახდა გოლკიპერის მხრიდან უკანა მცველის გარკვეული ფუნქციების შეთავსებაც, რაც ლუის ვან გაალის პერიოდის ამსტერდამის „აიაქსში“ მეკარე ედვინ ვან დერ საარის ნოვატორული მოქმედებების შემდეგ გახდა აქტიური მთელ მსოფლიოში.

მეკარეების ბრწყინვალე პლეადის: ბარბოსას, ჟილმარის, ლეაოს, ტაფარელის ღირსეული მემკვიდრეა. იგი საუცხოო მეკარე იყო, რომელიც წლების მანძილზე იტალიური „მილანის“ ღირსებას იცავდა და ამ გუნდის ისტორიაში ოქროს ასოებით არის შესული. დიდა მეკარისათვის აუცილებელ ყველანაირ კომპონენ-

ტში დახელოვნებული იყო და მისი ამპლუის ფეხბურთელისათვის სასურველი სიმაღლითა და კარგად განვითარებული, დაკუნთული სხეულით გამოირჩეოდა. მას ძალზე სხარტი რეაქცია ჰქონდა, პენალტების მოგერიების საოცარი ალლოც გააჩნდა და კარიერის განმავლობაში უამრავი თერთმეტმეტრიანი დარტყმა



მოიგერია.

დიდა არაერთხელ გამხდარა მატჩის გმირი. გავიხსენოთ თუნდაც 2003 წელს მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდის“ სტადიონზე გამართული ჩემპიონთა ლიგის ფინალი, სადაც ერთმანეთს იტალიური ფეხბურთის ორი ყველაზე სახელმოსვლელი კლუბი „მილანი“ და „იუვენტუსი“ ხვდებოდნენ. თამაშმა იტალიური გუნდებისათვის დამახასიათებელ წმინდა ტაქტიკურ, სქემატურ ორთაბრძოლებში ჩაიარა. საბოლოოდ, გამარჯვებული ოთხმა ტაიმამაც ვერ გამოავლინა და 0:0-ზე დასრულებულ მატჩს, ევროპის ჩემპიონი კლუბის გამოსავლენად პენალტების სერიის ჩატარება დასჭირდა. აქ კი, როგორც წესი, დიდამ გაიბრწყინა და „მილანს“ ჩემპიონთა ლიგის მოპოვებაში უდიდესი სამსახური გაუწია.

დიდა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან მეკარედ ითვლება. მას უამრავი დიდი შეჯიბრება აქვს მოგებული, მათ შორის „კორინთიანსის“ რიგებში – მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატიც. დიდამ აღნიშნული ჩემპიონატი მეორედაც მოიგო, ოღონდ ამჯერად „მილანთან“ ერთად. ასევე, „მილანთან“ ერთად, 2007 წელს კვლავ მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის



თასი და თავის შთამბეჭდავ კარიერას ევროპის სუპერთასიც შეჰმატა. მრავალი წლის მანძილზე დიდა ბრაზილიის ნაკრების ძირითადი მეკარე იყო. მან „სელესაოსთან“ ერთად ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა, ოღონდ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ლუიშ ფელიპე სკოლარიმ კარის დაცვა მარკუ-

შს მიანდო და დიდა სათადარიგო მეკარის როლში გახდა მუნდიალის ტრიუმფატორი. ეს ფაქტიც კარგად მეტყველებს ბრაზილიელ მეკარეთა სიძლიერეზე. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი ბრაზილიის ნაკრების კარსაც, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ყულიო სეზარი იცავს.

## სადგებრესო ფაქტები



1954 წელს ბრიტანულ პრესაში ინგლისის იმავე წლის საფეხბურთო ჩემპიონი, მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის ჩემპიონად მონათლეს. ამ განცხადებამ აღშფოთება გამოიწვია ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ რედაქციაში და გაზეთის რედაქტორმა გაბრიელ ანომ ევროპის ჩემპიონთა თასის დაარსება გადაწყვიტა. გათამაშების დებულება თავად ანომ ჩამოაყალიბა და ის ფიჯამ დაამტკიცა.

1983 წელს დანიის ნაკრების მწვრთნელმა ზეპ პიონცეკმა მადლობის ნიშნად მიიღო გიგანტური ზომის ბოლოკი. სწორედ ბოლოკია დანიის ეროვნული გერბის გამომხატველი სიმბოლო. ამ ფესტით პიონცეკი დააფასეს შესანიშნავი შედეგებისათვის, რომელიც მან თავის განვრთნილ კოლექტივთან ერთად მიაღწია.



საფანჯარო ბიზნისი

ფორსა იტალია

ნაწევტი გურამ ფანჯიების წიგნიდან

1982 წლის 11 ივლისი. მადრიდი, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი. მსოფლიოს XII საფანჯარო ჩემპიონატის ფინალი.

ასი ათასი მაყურებლის თანდასწრებით ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ მსოფლიოს ორ-ორ გზის ჩემპიონები: იტალიისა და დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელები.

იტალია ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა მწვანე მინდორზე: ძოფი, ბერგომი, კაბრინი, კოლოვატი, ჯენტილე, შირეა, ორიალი, ტარდელი, კონტი, გრაციანი (ალტობელი, კაუზიო), როსი.

გერმანელები: შუმასერი, კალცი, შტილიკე, ბრიგელი, ბრაიტნერი, კ. ფორსტერი, ბ. ფორსტერი, დრემლერი (პრუბეში), ლიტბარსკი, ფიშერი, რუმენიგე (მიულერი).

ესპანეთის პრესამ ფინალის წინ საგანგებოდ გამოაქვეყნა ადრინდელი ფინალური თამაშების წინ გამოთქმული პროგნოზები. აღმოჩნდა, რომ ნახევარფინალისტა შორის არ დაუსახელებიათ არც იტალიელები, არც ფრანგები და პოლონელები. მხოლოდ გერ-ის ფეხბურთელებს მიიჩნევდნენ ოქროს მედლების მოპოვების შესაძლო პრეტენდენტებად.

საერთოდ, მომავალი ჩემპიონატის პროგნოზებს წინა ჩემპი-


ონატის შედეგები განსაზღვრავს ხოლმე, ამიტომაც იხსენიებდნენ ფავორიტებს შორის არგენტინას, ბრაზილიას, გერ-ს, იტალიას. მაგრამ იტალია თავიდანვე ჩამონერეს... მოდით და ნუ ჩამონერდით: „სკუადრა აძურა“ საოცრად უფერულად გამოვიდა ქვეჯგუფში. გავიხსენოთ ანგარიშები: იტალია – პოლონეთი 0:0; იტალია – პერუ 1:1; იტალია – კამერუნი 1:1(!)

იტალიელებმა ქვეჯგუფში მეორე ადგილი მხოლოდ გატანილი ბურთების წყალობით დაიკავეს (2:2) და გადაასწრეს კამერუნელებს, რომელთა ბურთების შეფარდება იყო 1:1.

გავიხსენოთ იტალიელთა გამოსვლა წინა, არგენტინის ჩემპიონატზე. იტალიელებმა თავიდანვე მოხიბლეს მაყურებელიც და სპეციალისტებიც ტექნიკური, სწრაფი, შემტევი და ლამაზი ფეხბურთით. მათ ერთბაშად გადააინყეს ხალხს ალიარებული ფავორიტები: მასპინძელი, არგენტინელები, ჰოლანდიელები, ბრაზილიელები და გერმანელები. იტალიელები გახდნენ ჩემპიონატის № 1 პრეტენდენტები.

მაგრამ შუა ჩემპიონატში განსაკუთრებით ჰოლანდიელებთან ჩატარებული მატჩის მეორე ტაიმში, (პირველი ტაიმი ისე ბრწყინვალედ ითამაშეს, შესვენების დროს ბოზი ჩარლტონმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, იტალიელები მართო ამ მატჩს კი არა, ჩემპიონატს მოიგენებო). უკვე იგრძნობოდა, რომ გუნდი გადაიღალა, ვერ გაუძლო ჩემპიონატის დაძაბულ რიტმს. პირველი სამი დიდებულად მოგებული თამაშის შემდეგ ვერ მოუგეს გერმანელებს (0:0), ნააგეს ჰოლანდიელებთან (1:2) და ბოლოს ბრაზილელებთან პირველი ტაიმის მოგების შემდეგ (1:0) ფარხმალი დაყარეს მეორე ტაიმში – 1:2.

ესპანეთში ყველაფერი პირიქით მოხ-



ენცო ბეარზოტი

და. ქვეჯგუფში უღიმღამოდ ჩატარებული სამი მატჩის შემდეგ დაიწყო გამარჯვებათა ბრწყინვალე სერია: იტალია – არგენტინა 2:1, იტალია – ბრაზილია – 3:2, იტალია – პოლონეთი – 2:0 და ბოლოს ფინალი.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სპეციალისტებს და გულშემატკვირებს არ მიაჩნდათ იტალია ჩემპიონატის ფავორიტად. ორი წლის უკან იტალიელებმა ევროპის თასის გათამაშების დროს საკუთარ სახლში არამცთუ ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს, მხოლოდ მეოთხე ადგილი დაკმაყოფილდნენ.

ამიტომაც იყო, რომ არგენტინელთა და გერმანელთა შემდეგ იტალიელებს იხსენიებდნენ ინგლისთან, საფრანგეთთან, საბჭოთა კავშირთან და შოტლანდიასთან ერთად.

სანამ ახალი ჩემპიონების ღირსებაზე ვილაპარაკებდეთ, ჯერ გავიხსენოთ ფინალური მატჩის საკვანძო ეპიზოდები.

თამაშის დაწყებამდე იტალიელთა მწვრთნელმა ენცო ბეარზოტიმ იცოდა, რომ ანტონიონი ვერ ითამაშებდა. ეს დიდი დანაკლისი იყო ცისფერი გუნდისთვის. ბუნებრივია, ბეარზოტიმ მატჩის წინ არ იცოდა, რომ პირველსავე ნუთუმში გრაციანი დაიმტკეროდა.



ესპანეთის მინდვრებზე მარადონამ და კემპესმაც იასპარეზეს



### კლასიკური ჯენტლმენი და მარკო ტარდელი გერმანელთა კარში გატანილი გოლის შემდეგ

ენცო ბეარზოტიმ ისიც იცოდა, რომ დერვალი არ აპირებდა ტრავმირებული რუმენიგეს გამოყვანას, მაგრამ იტალიელთა მთავარსარდალი არ ენდობოდა დერვალის განცხადებას და გერმანელებთან ბრძოლის ორ სტრატეგიულ მოდელს აგებდა, ერთს იმ შემთხვევისთვის, თუ მოედანზე რუმენიგე გამოვიდოდა, მეორეს კი – თუ მოწინააღმდეგე რუმენიგეს სათადარიგოთა სკამზე დასვადა. ბეარზოტიმ განაცხადა, მტკიცედ მჯეროდა, რომ რუმენიგე მოედანზე პირველივე წუთებიდან გამოვიდოდა.

გამართლდა ენცო ბეარზოტის ვარაუდი. თავის მხრივ, დერვალმა მას შემდეგ გადაწყვიტა მოედანზე ტრავმირებული რუმენიგეს გამოყვანა, როცა გაიგო, ანტონიონი ვერ ითამაშებსო.

იყო ერთი მოულოდნელობაც, ყველას ეგონა, რუმენიგეს ჯენტლმენი დაიჭერდა. სინამდვილეში ჯენტლმენი ლიტბარსკის მიუჩინეს, ხოლო რუმენიგეს ბერგომი დასდევდა აჩრდილივით.

კიდევ ერთი სიურპრიზი: ათლეთურ და ძალისმიერ ბრიგელს მომცრო ტანის დრიბლიორი კონტი მიუჩინეს. ამიტომაც იყო, პირველ ტაიმში კონტი ძირითადად დაცვაში ტრიალებდა. მიუხედავად ამისა, ბრიგელი პირველ ტაიმშივე გახდა იძულებული, აკრძალული ხერხით წაექცია საჯარიმო მოედანზე შეჭრილი კონტი (შეგახსენებთ: პენალტი ვერ გამოიყენა იტალიელმა კაბრინიმ). ბრიგელი ცდილობდა, გრძელი გარდევებით დაეღალა კონტი. მოხდა პირიქით, მეორე

ტაიმში უკვე გერმანელი მცველების წინაშე დადგა კონტის იერიშების მოგერიების პრობლემა.

ერთი სიტყვით, იტალიელთა მიერ ჩატარებულ წინამატჩებთან შედარებით, თამაშში გარკვეული სტრატეგიული სიასხელებით დაიწყო.

პირველი ტაიმის თითქმის არ გვიქადა ლამაზ და ემოციურ ფეხბურთს. ფეხბურთელები, განსაკუთრებით გერმანელები, არც უხეშობას თავიკობდნენ. მსაჯს მატჩის მანძილზე ხუთჯერ დასჭირდა ყვითელი ბარათის ამოღება (კონტი, ორიალი, დრემლერი, შტილიკე, ლიტბარსკი).

ასპარეზობის დასაწყისშივე დაიმტვრა გრაციაანი. მის ნაცვლად მოედანზე გამოვიდა ალტობელი. იგი პირველი წუთებიდანვე „ჩაჯდა“ კოლექტივში და უბრწყინვალესი გოლიც (რიგით მესამე) გაიტანა გერმანელთა კარში.

როცა 24-ე წუთზე ბრიგელმა მოცულა საჯარიმო მოედანზე შეჭრილი კონტი (მან გადაცემა ალტობელისგან მიიღო), მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

იტალიელი ტიფოზები წინასწარ ზეიმობდნენ გატანილ გოლს, მაგრამ კაბრინიმ ყველას ცივი წყალი გადაასხა.

როცა ბურთი კარს ასცდა, არც ერთ იტალიელ ფეხბურთელს უბრალო შესტიმაც კი არ გამოუხატავს უკმაყოფილება. თამაშისე გააგრძელეს, ვითომ არაფერი მომხდარიყო.

ზოგიერთმა ლიმილით გაამხნევა კიდევ გულდაწყვეტილი მეგობარი.

არადა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საყაიმო ანგარიშის დროს პენალტის გაფუჭება თითქმის წაგებას უდრიდა.

პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

მეორე ნახევარში იტალიელებმა თავიდანვე შეუტიეს და თანდათანობით გამოიკვეთა კიდევ მათი ტექნიკური უპირატესობაც.

მეექვსე წუთზე ჯენტლმენს გადაცემის შემდეგ როსის თავით გააქვს ბურთი.

23-ე წუთზე უკვე შირეას გადაცემის შემდეგ ტარდელიმ მეორედ გაახვია ბურთი გერმანელთა კარის ბადეში. 36-ე წუთზე ალტობელიმ მოატყუა რამდენიმე მცველი, მეკარე შუმასერი და ულამაზესი გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

მხოლოდ 38-ე წუთზე შეძლო ბრაიტნერმა ერთადერთი ბურთის გაქვითვა. ეს იყო და ეს.

იტალიამ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

არის თუ არა იტალია ლირსეული მსოფლიო ჩემპიონი? იქნებ სხვა რომელიმე გუნდი, თუნდაც ბრაზილია, უფრო იმსახურებდა უძლიერესის გვირგვინს?

იტალიელი ფეხბურთელები ინდივიდუალურად ასე ძლიერები არაინ დანარჩენ ფავორიტებზე?

აი, რა კითხვები წამოიჭრა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე.

ვფიქრობ, ამ შეკითხვების დაბადებას გააჩნია თავისი ობიექტური მიზეზები.

მე ჩემს აზრს მოგახსენებთ, იტალია ნამდვილად ლირსეული ჩემპიონია. თუმცა, გამოგიტყდებით,



მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი პაოლო როსი.





ჩემი სიმპათიები მაინც ბრაზილიის ნაკრების მხარესაა.

იტალიელებმა შეძლეს დამარცხებინათ მსოფლიოს სამი უძლიერესი გუნდი, მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინის ნაკრები, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და 1980 წლის ევროპის ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები.

შემთხვევით, იღბლით თუ ძალების მაქსიმალური დაძაბვით შეიძლება მოიგო ერთი თამაში, მაგრამ გამარჯვებათა ასეთ სერიას მიკერძოებული კაციც კი ვერ მიაწერს იღბალს და შემთხვევითობას.

იყვნენ თუ არა იტალიელი ფეხბურთელები უფრო ძლიერნი, ვთქვათ, ვიდრე მარადონა, ზიკო, ფალკაო, პლატინი და სხვანი და სხვანი?

**პაოლო როსი** ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ბომბარდირის პრიზიც მას მიენიჭა, ბოლო სამ თამაშში იტალიელმა თავდამსხმელმა ექვსი – ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა.

ერთი იაპონელი ბიზნესმენის საუბარი მაგონდება დასავლეთ გერმანელ ჟურნალისტთან. ეს საუბარი, რომელიც შემდეგ გაზეთში გამოქვეყნდა, არგენტინაში შედგა, წინა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

იაპონელმა თქვა, 15 მილიონ მარკად (დასავლეთ გერმანული მარკებით) არგენტინის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისგან კარგ ნაკრებს შევედგენდით. და მან ჩამოთვალა, ვის შეიყვანდა მსოფლიო ნაკრებში, თანაც ყოველი მათგანის ღირებულებაც იქვე დაასახელა. ყველაზე იაფად არგენტინელი მეკარე ფილოლი შეაფასა – 500 000 მარკად (სხვათა შორის, მან იტალიელი ჯენტლიც შეიყვანა ნაკრებში – 1.800 000 მარკა). ყველაზე ძვირად კი – კემპესი – 2. 500. 000 მარკად.

თან დასძინა: ცენტრალურ თავდამსხმელად იტალიელ პაოლო

როსის ავიყვანდი, მაგრამ მისი ფასი სხვებთან შედარებით განუზომლად დიდია – 12 მილიონი მარკა – და ჩემს 15 მილიონში ვეღარ ჩავეტევიო. ეს იყო ოთხი წლის წინ, არგენტინაში.

დღეს კი იტალიელი როსი ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იგი მართლაც დიდებული ფეხბურთელია, მეზობელი, მოქნილი, ტექნიკური, მამაცი, ალლოიანი...

მაგრამ მე მაინც ვფიქრობ (მკითხველმა მომიტყევოს ჩემი საკუთარი აზრი, რომელსაც არავის ვახვევ თავზე), იგი წინ ვერ გადაასწრებს მარადონასა და ზიკოს.

პაოლო როსის საყოველთაო აღიარებაში, რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა იტალიის ნაკრების გამარჯვებამაც და ყველაზე მეტმა გატანილმა გოლმაც.

და, საერთოდ (შეიძლება ასე დავაყენოთ საკითხი), იტალიის ნაკრების ვარსკვლავები უფრო კაშკაშებენ, ვიდრე, ვთქვათ: პლატინი, რუმენიგე, ტრეზორი, შტილიკე, ბრაიტნერი, როშტო, ამორო, ბონიეკი, არდილესი, პასარელა, სტრათანი, ფალკაო, სოკრატესი, ედერი, ჟუნიორი, სერეზო?

ფიქრობ, ყველა აქ ჩამოთვლილი ფეხბურთელი იტალიელ ფეხბურთელებს ტოლს არაფერში დაუდებენ. მაგრამ, ეტყობა, გამარჯვებას სხვა ფაქტორებიც სჭირდება.

გავისხევოთ ენცო ბეარზოტის სიტყვები, „რა თავში ვიხლი 22 სუპერვარსკვლავს, თუ ისინი ერთი მიზნის მისაღწევად არ იქნებიან გაერთიანებულნი?“

როდესაც მოედანზე თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ, ბევრი რამ არის დამოკიდებული ფეხბურთელთა აღმაფრენაზე, რწმენაზე... ბევრი რამ იყო აგრეთვე დამოკიდებული, ბეარზოტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ენერჯის გადანაწილების კანონზე...

იტალიამ ტექნიკური, მოქნილი, მძლავრი და სწრაფი ფეხბურთი ითამაშა, სხვანაირად იგი ვერც იოცნებებდა ჩემპიონობაზე, ვერ დადგებოდა სხვა ძლიერი გუნდების გვერდით.

და თუ „სკუადრა აძურამ“ საბოლოო გამარჯვებას მიაღწია, და თანაც როგორ გამარჯვებას – უშელავათო ბრძოლებში წამოაჩოქა მრისხანე მეტოქეები! – მიაღწია იმიტომ, რომ გუნდმა და მისმა სტრატეგმა, ენცო ბეარზოტიმ ყველაზე კარგად გადაჭრეს ენერჯის განაწილების კანონი, თამაშის ბოლო წუთებამდე შეინარჩუნეს მოგების დაუოკებელი ჟინი და აღმაფრენა, ყველაზე უკეთ დაიმორჩილეს ნერვები, შეინარჩუნეს ურთიერთშორის კეთილი, მეგობრული განწყობა და ყველაზე საბედისწერო ეპიზოდების დროსაც კი არ დაკარგეს გამარჯვების რწმენა.

აი, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა განაპირობა, რომ თავისი დაცვითი ფეხბურთით ცნობილ იტალიელებს ეთამაშათ სწრაფი, შემტევი ფეხბურთი, მოეხიბლათ მაყურებელი ელვისებური გადაცემებით, კარში ბრწყინვალე დარტყმებით, ტექნიკური ილეთების უსწრაფესი შესრულებით.

იტალიელებმა შეასრულეს ზეამოცანა სხვებისგან განსხვავებით (იგულისხმებია ჩემპიონატში მონაწილე უძლიერესი გუნდები) საკუთარი შესაძლებლობებიდან ამოქაჩეს მაქსიმუმში.

წარმოვიდგინოთ თანაბარი სიმძიმეებით განონასწორებული სასწორის პინები. ერთი მესამედი მილიგრამიც კი საკმარისია დაემატოს რომელიმე პინსას, რომ იმავე წამში დაირღვეს წონასწორობა.

როცა მოედანზე ორი თანაბარი გუნდი იბრძვის და მათ შეს-



აძლებლობებს შორის ბალანსი მყარდება, მრავალ საფეხბურთო კომპონენტთაგან ერთ მათგანში უპირატესობის მიღწევა კმარა ამ ბალანსის დასარღვევად.

არის კიდევ ორი დიდი ფაქტორი, ურომლისოდაც, ეტყობა, არ შეიძლება მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინზე იოცნებო, ესაა რწმენა და რისკი.

რასაკვირვალა, ლაპარაკია რეალურ საფუძველზე დაყრდნობილ რწმენასა და რისკზე. ამიტომაცაა უსაზღვროდ ბევრი რამ დამოკიდებული მწვრთნელზე, მის ალლოზე, შემართებაზე, რწმენასა და რისკზე.

გავიხსენოთ იგივე იტალიის მაგალითი ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე. „სკუადრა აძურას“ სათავეში ედგა ცნობილი სპეციალისტი ფაბრი. გუნდის შემადგენლობაში კი იყვნენ მაშინდელი ფეხბურთის ვარსკვლავები: ფაკეტი და რივერა, მაცოლა და ბუღარელი, ბურგნიჩი და პასკუტი...

სამი თამაშიდან იტალიელებმა წააგეს ორი, მათ შორის ერთი კორეის ნაკრებთან!

რა მოხდა, რა დაემართათ იტალიელებს? – გაოცებას ვერ მალავდა სპორტული პრესა.

შემდეგ გამოიკვია, რომ მატჩების წინ იტალიელთა მწვრთნელი შიშმა შეიპყრო, დაიბნა, აღარ იცოდა, მოედანზე ვინ გამოეყვანა. თურმე უკანასკნელ წუთებამდე ვერ ასახელებდა შემადგენლობას. ფაბრის მღელვარება ფეხბურთელებსაც გადაედო და შედეგმაც არ დააყოვნა... მსოფლიო ჩემპიონობის აღიარებული ფავორიტი ქვეჯგუფიდანაც ვერ გავიდა.

ესპანეთში მოპოვებულ გამარჯვებაში კი უსაზღვროდ დიდია იტალიელთა მწვრთნელის ენცო ბეარზოტის დამსახურება. იგი 1977 წლიდან „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელია. მანამდე დიდხანს მუშაობდა გუნდში ფ.ბერნარდინის თანაშემწედ.

ალბათ, არც ერთ მწვრთნელს არ დასტეხია თავზე იმდენი კრიტიკა, რამდენიც ენცო ბეარზოტის. ბევრი მის ადგილზე გადაყენებასაც მოითხოვდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, საკუთარ სახლში რომ ევროპის ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს. ჩემპიონობას ვინ დაეძებდა, მეოთხე ადგილი ერგოთ წილად.

მტრებიც და მოყვარეებიც ურჩევდნენ იტალიელთა მწვრთნელს, პაოლო როსის ნუ წაიყვან, ეგ უკვე ჩამონერილი ფეხბურთელიაო, აღარ გამოგადგებაო. ენცო ბეარზოტი უფრო შორს იყურებოდა. იგი, რასაკვირველია, ხედავდა, რომ პაოლო როსი აშკარად ვერ თამაშობდა. სპორტულ მაქინაციებში მონაწილეობისთვის მას ხომ ორი წლით ჰქონდა აკრძალული მწვანე მოედანზე გამოსვლა. ამ ორმა წელმა, ბუნებრივია, თავისი დალი დაამჩნია იტალიელი ფორვარდის თამაშს. როსი სუსტად გამოვიდა ქვეჯგუფში, ხოლო იტალიელები რა ვაი-ვაგლახით გავიდნენ ფინალში, ამაზე უკვე ვთქვით ზემოთ.



მსოფლიო ჩემპიონატის თასით ხელში – იტალიელთა მეკარე და კაპიტანი დინო ძოფი

კვლავ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ბეარზოტი, კვლავ მოითხოვეს, პაოლო როსი აღარ გამოეყვანა მოედანზე. ბეარზოტის წარბიც არ შეუხრია. ერთი წუთითაც არ შეეყოფმანებულა. იგი კვლავ ერთგული რჩებოდა თავისი ერთი თვის წინანდელი წინასწარმეტყველებისა. ქვეჯგუფიდან აუცილებლად გავალთ, ბოლო შემდგომი ეტაპისათვის პაოლო როსი უკვე თავის საუკეთესო თამაშს გვიჩვენებსო.

საოცარი სიზუსტით ახდა ენცო ბეარზოტის წინასწარმეტყველება, იელები რა ვაი-ვაგლახით გავიდნენ ფინალში, ამაზე უკვე ვთქვით ზემოთ.

საოცარი სიზუსტით ახდა ენცო ბეარზოტის წინასწარმეტყველება,

როსი გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და პირველი გოლელადორი!

მაგრამ განა იოლი იყო ასეთ რისკზე წასვლა? ვთქვათ არ გაემართლებინა როსის, ვთქვათ, იტალიას ვერ მოეპოვებინა ჩემპიონობა ანდა რომელიმე საპრიზო ადგილი.

რა მოხდებოდა მაშინ?

გაბედავდა ენცო ბეარზოტი იტალიაში დაბრუნებას?

ჩემი აზრით, იტალიელთა მწვრთნელის ინტუიცია დიდ პროფესიონალიზმად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მისი რწმენა, რისკი და წარბშეუხრელობა – გმირობად!

წელან ჩვენ ენერჯის განაწილების კანონი ვახსენეთ, ენცო ბეარზოტიმ შესანიშნავად გაითვალისწინა არგენტინის ჩემპიონატის მწარე გაკვეთილები და შეძლო გუნდს ძალა შეენარჩუნებინა გადამწყვეტი მატჩებისათვის.

ერთი სიტყვით 55 წლის ენცო ბეარზოტიმ გადალახა ყველა ფსიქოლოგიური ბარიერი, გაუძლო ყველაზე მძლავრ კრიტიკას, რომლის მსგავსი ჩემპიონატის დაწყებამდე და ჩემპიონატის დროს თავზე არ დასტეხია არც ერთ მწვრთნელს, შექმნა მონოლითური, მეგობრული კოლექტივი და გუნდი აიყვანა დიდების ოლიმპზე.

იტალიამ მესამედ მოიგო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი (პირველად 1934 წელს, მეორედ – 1938 წელს). 1982 წლის ჩემპიონატის ოქროს თასი იტალიელებს საზეიმოდ გადასცა ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა.

ოქროს მედლების გადაცემის ცერემონიალი კი დაევალა ფიფას პრეზიდენტს ჟოაო აველანუს.

შორიდან მოწყენილი ჩანდა ფიფას პრეზიდენტი, სევდანარევი ღიმილით ულოცავდა იტალიელებს გამარჯვებას.

არ იქნა და არ გატყდა ნავსი, კიდევ ერთხელ ჩაეფუშა ოცნება, თავისი თანამემამულეებისათვის მიელოცა დიდი გამარჯვება.

გზინი

ბარსელონა



1899 წლის 22 ოქტომბერს ჟოან გამპერმა სპორტულ გაზეთში განცხადება განათავსა. მას საფეხბურთო კლუბის დაარსება სურდა. განცხადებით რამდენიმე ადამიანი დაინტერესდა და იმავე წლის 29 ნოემბერს „ხიმნასიო სოლემი“ პირველი შეკრებაც გაიმართა. შეხვედრას თერთმეტი მოთამაშე ესწრებოდა: გუალტერ უაილდი, ლუის დ'ოსო, ბარტომეუ ტერადასი, ოტო კუნცლი, ოტო მაიერი, ენრიკ დუკალი, პერე კაბოტი, ხოსეპ ლოპეტი, ჯონ პარსონსი და უილიამ პარსონსი. შეკრების შედეგად ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“.

„ბარსელონა“ მალე გახდა კატალონიისა და ესპანეთის წამყვანი კლუბი. თავდაპირველად „ბარსელონა“ კატალონიის ჩემპიონატსა და სამეფო თასზე გამოდიოდა. 1901 წელს კატალონიელებმა პირველი ტიტული „კოპა მაკაი“ მოიგეს, 1902 წელს კი სამეფო თასის ფინალში გავიდნენ, სადაც „ვისკაისთან“ დამარცხდნენ ანგარიშით: 1:2

1908 წელს კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი ყოფილი ფორვარდი ჟოან (ჰანს) გამპერი გახდა კლუბის პირველი პრეზიდენტი. ეს მოხდა მაშინ, როცა კლუბს სახარბიელო პერიოდი არ ედგა. 1905 წელს კატალონიის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ „ბარსამ“ სამი წლის განმავლობაში ვერც ერთი ტიტული ვერ მოიგო, მისი ფინანსური მდგომარეობა კი თანდათან უარესდებოდა. საბოლოოდ გამპერი 1908-1925 წლებში ხუთჯერ აირჩიეს პრეზიდენტად და მან მთლიანობაში ოცდახუთი წლის მანძილზე უხელმძღვანელა კლუბს. მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა „ბარსელონასთვის“ სტადიონის შექმნა იყო. 1909 წელს გუნდი სტადიონ

„კარერ ინდუსტრიაზე“ გადაბარგდა, რომელიც 8 000 მაყურებელს იტევდა.

გამპერმა კლუბის გაფართოებასაც მიჰყო ხელი და 1922 წლისთვის მისი წევრების რაოდენობამ 10 000-ს გადააჭარბა.

იმავე წელს „ბარსამ“ კვლავ შეიცვალა საშინაო არენა და 22 000-იან სტადიონზე გადაბარგდა, რომელიც შემდეგ გააფართოვეს და 60 000-მდე გაზარდეს

1912 წელს გამპერმა კლუბში მოიყვანა ფილიპინელ-ესპანელი ფორვარდი პაულინო ალკანტარა, რომელმაც მოგვიანებით ამ გუნდში თავისი კარიერის ცამეტი წელი (1912—1916, 1918—1927) დაჰყო. ამ დროის განმავლობაში 357 გოლი გაიტანა და კლუბის ისტორიაში დღემდე საუკეთესო ბომბარდირად რჩება.

1917 წელს გამპერის გადამწყვეტილებების შედეგად „ბარსას“ მთავარი მწვრთნელი გუნდის ყოფილი მოთამაშე, ინგლისელი ჯეკ გრინველი გახდა. ის გუნდს 1924 წლამდე წვრთნიდა და კლუბის საქმეებზე უკეთესად წარიმართა. საბოლოოდ ჟოან გამპერის ხელმძღვანელობის პერიოდში „ბარსელონამ“ თერთმეტჯერ მოიგო კატალონიის ჩემპიონატი, ექვსჯერ ესპანეთის სამეფო თასი და ოთხჯერ „პირინეის თასი“. იმ დროისთვის „ბარსელონას“ შემადგენლობაში ალკანტარას გარდა ირიცხებოდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ: ემილიო საგი ლინიანი (იგივე საგი-ბარბა), ხოსეპ სემიტიერი, ფელიქს სესუმაგა, ფრანც პლიატკო და უდიდესი მეკარე რიკარდო ზამორა.

1920-იან წლებში „ბარსელონას“ ბევრი არასპორტული, პოლიტიკური

პრობლემაც შეექმნა.

1925 წლის 14 ივნისს, პრიმო დე რივერას დიქტატორობის პერიოდში, კლუბის სტადიონზე გამართულ ერთ-ერთ მატჩზე მაყურებლები ესპანეთის სამეფო მარშს სტვენით და ყვირილით შეხვდნენ, რის გამოც სტადიონი ექვსი თვით დაიხურა. შემდეგ ეს სასჯელი სამ თვემდე შემცირდა, მაგრამ საბოლოოდ ამის გამო გამპერმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა. კლუბის დამაარსებელი სხვადასხვა ფინანსური და პირადი პრობლემების გამო დეპრესიაში ჩავარდა და 1930 წლის 30 ივლისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

კლუბს წარუმატებლობის ხანა დაუდგა, რადგან ქვეყანაში პოლიტიკურმა კონფლიქტებმა საზოგადოების თვალში სპორტი მეორე პლანზე გადაიტანა. „ბარსაში“ კრიზისი დაიწყო. კლუბის წევრების რაოდენობა გამუდმებით მცირდებოდა, თუმცა გუნდი მაინც სტაბილურად იგებდა კატალონიის პირველობებს: 1930, 1931, 1932, 1934, 1936, 1938 წლებში.

შემდეგ ესპანეთის სამოქალაქო ომი დაიწყო, რამაც კლუბს ბევრი პრობლემა შეუქმნა. ესპანეთის სამოქალაქო ომის შემდეგ ფრანკოს მიერ დამყარებულ დიქტატორულ პირობებში კატალონიური ენა და დროშა აიკრძალა. 1943 წელს საშინაო სტადიონ „ლეს კორტსზე“ გენერალ სიმუსის თასის (ასე ეწოდა ახალი ხელისუფლების მიერ მაშინ ესპანეთის თასს, რომელსაც მანამდე მეფის თასი ერქვა) პირველი ნახევარფინალური მატჩი გაიმართა, რომელშიც „ბარსელონამ“ მადრიდის „რეალი“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა.



„კამპ ნოუ“



განმეორებითი თამაშის წინ, ფეხბურთელებს გასახდელში ფრანკოს ხელისუფლების უშიშროების ორგანოს ხელმძღვანელი დახვრეტით დაემუქრა, რის შედეგადაც „რეალმა“ ის მატჩი 11:1 მოიგო.

რთული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად 1940-იან და 1950-იან წლებში „ბარსელონა“ მაინც ახერხებდა წარმატებების მიღწევას. 1945 წელს, კლუბმა, 1929 წლის შემდეგ პირველად მოიგო ესპანეთის ჩემპიონის ტიტული. გამარჯვებული შემადგენლობის მწვრთნელი ხოსეპ სამიტერი იყო. გუნდის იმ დროინდელი გამორჩეული მოთამაშეები იყვნენ: სესარ როდრიგესი, ანტონიო რამალეტსო და ხუან ველასკო.

1948-1949 წლებში გუნდმა კიდევ ორი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 1949 წელს „ბარსელონამ“ პირველად მოიგო „Copa Latina“.

1950-იან წლებში „ბარსელონას“ წარმატებული დროება დაუდგა. მწვრთნელის — ფერნანდო დაურიკისა და „ბარსას“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის — ლადისლაო კუბალას დახმარებით გუნდმა 1952 წელს ხუთი სხვადასხვა ტიტული მოიგო, მათ შორის: ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის თასი (რომელსაც იმ დროს ოფიციალურად ეწოდებოდა გენერალ სიმუსის ანუ ფრანკოს თასი), „Copa Latina“ (ლათინური თასი), ესპანეთის სუპერთასი (მაშინ ეწოდებოდა ევა დუარტეს თასი ევა დუარტე პერონის პატივსაცემად) და მარტინი როსის თასი. 1953 წელს გუნდმა დუბლი შეასრულა და გაიმარჯვა ესპანეთის ჩემპიონატსა და ფრანკოს თასზე. ეს ტიტული კუბალას გუნდმა 1957 წელსაც მოიგო, ხოლო 1958-ში „ბაზრობათა თასს“ (შემდგომში უეფას თასს) დაეუფლა.

გამარჯვებების სერია გაგრძელდა ახალი მწვრთნელის, ელენიო ერერას პერიოდშიც.

იმ დროისთვის შემადგენლობა

გაძლიერდა ახალგაზრდა ლუის სუარესის, რომელიც 1960 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, და „დიდი გუნდიდან“ მიწვეული ორი უნგრელი, შანდორ კოჩიშისა და ზოლტან ჩუიბორის მემკვიდრეობით, რომლებმაც სამშობლო დატოვეს მას შემდეგ, რაც სსრკ-მ და ე. წ.

„სახალხო დემოკრატიის“ ქვეყნებმა უნგრეთის აჯანყება ჩაახშეს. ამ შემადგენლობით „ბარსელონამ“ კიდევ ერთხელ შეასრულა დუბლი: 1959 წელს ესპანეთის ჩემპიონატი და თასი მოიპოვა, ხოლო 1960-ში მეორედ დაეუფლა ბაზრობათა თასს და კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატში. 1961 წელს „ბარსელონა“ გახდა ისტორიაში პირველი კლუბი, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან მადრიდის „რეალი“ გამოაძევა, რითიც ბოლო მოუღო მადრიდელების ექვსწლიან ბატონობას ამ ტიტულზე. ჩემპიონთა თასის ფინალი ბერნში გაიმართა, სადაც კატალონიელებმა პორტუგალიურ „ბენფიკასთან“ დათმეს შეხვედრა ანგარიშით 2:3.

1957 წელს „ბარსელონას“ დღევანდელი სტადიონის „კამპ ნოუს“ მშენებლობა დასრულდა, ამიტომ კლუბს აღარ გააჩნდა საკმარისი სახსრები იმისათვის, რომ შემადგენლობა გაძლიერებინა.

1960-იანი წლები არც ისე წარმატებული გამოდგა ისეთი დონის გუნდისთვის, როგორიც „ბარსა“ იყო. ხოსეპ ფუსტესა და კარლეს რექსანჩის გუნდმა 1966 წელს „ბაზრობათა თასი“ მოიგო, 1968-ში კი გენერალ სიმუსის, იგივე ფრანკოს თასს კვლავ დაეუფლნენ. ეს გამარჯვება განსაკუთრებული გამოდგა, რადგან ბარსელონელმა ფეხბურთელებმა ფინალში მადრიდის „რეალს“ 1:0 „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოუგეს.

1973 - 74 წლების სეზონში გუნდს შეუერთდა მოთამაშე, რომელმაც გუნდის ახალი ოქროს ისტორია დაწერა. ეს ფეხბურთელი „მფრინავი“ ჰოლანდიელი იოჰან



რონალდინიო

კრუიფი იყო. „ბარსელონამ“ იმ პერიოდის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი განახორციელა — ერთ მილიონად შეიძინა კრუიფი, რომელსაც უკვე ამსტერდამის „აიაქსში“ ჰქონდა სახელი განთქმული. მან მალევე აულო ალლო გუნდს და მისი ლიდერიც გახდა. მოგვიანებით მან თავის ვაჟს კატალონიური სახელი ხორდი დაარქვა. კრუიფის კარგი თამაშის წყალობით, 1960-იანი წლების შემდეგ „ბარსელონამ“ პირველად მოიგო ესპანეთის პრიმერა დივიზიონი, თან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაანადგურა მადრიდის „რეალი“ ანგარიშით 5:0. იმ მატჩში ჰოლანდიელი მთავარი გმირი გახდა. „ბარსელონაში“ თამაშის მანძილზე კრუიფი ორჯერ ზედიზედ დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. 1978 წელს კრუიფმა დატოვა კლუბი და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ აიღო გზა.

1978 წელს „ბარსას“ პრეზიდენტად ხოსეპ ლუის ნუნიესი აირჩიეს. ამ პოსტზე მისი მთავარი მიზანი „ბარსელონას“ მსოფლიო დონის კლუბად გადაქცევა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო. ნუნიესის პრეზიდენტობის ეპოქაში „ბარსამ“ ორჯერ მოიგო ევროპის თასების მფლობელთა თასი — 1979 წელს გუნდმა ფინალში დიუსელდორფის „ფორტუნას“ დამარცხება შეძლო, 1982 წელს კი მშობლიურ „კამპ ნოუსზე“ ლიეჟის „სტანდარდი“ დაჯაბნა გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 2:1. გარდა ამისა გუნდმა ამ პერიოდში სამჯერ მოიგო სამეფო თასი: 1981, 1983, 1988 წლებში.

1982 წლის ივნისში გუნდი გააძლიერა დიეგო მარადონამ, რომელიც აქარგენტინულ გუნდ „ბოკა ხუნიორსიდან“ გადმოვიდა იმ დროისთვის სარეკორდო თანხად — სამ მილიონ ფუნტ სტერლინგად, თუმცა ახალგაზრდა დიეგოს კარიერა „ბარსელონა-



იოჰან კრუიფი

# მსოფლიო მსოფლიო ფეხბურთი

**GROUP II**  
**GERMANY**

West Germany has come forward as the number one challenger to the Argentina World Champions. And it is true that German soccer has never before been so ready for victory as in such contest of its destiny...

**რუმენიგე**

Karl-Heinz Rummenigge, the "super star" of the German team.




**GROUP III**  
**ARGENTINA**

Current holder of the World Cup, Argentina runs the risk of losing her title this summer in Spain. Thanks to the preparation of her players, thoroughly trained by Cesar Luis Menotti and the genius of it's strategic midfield player Diego Maradona, Argentina looks on retaining the world champion.

**მარადონა**

Diego Maradona, the "super star" of the Argentine team.




**FRANCE**

Michel Hidalgo believes in the style of football that is strong in its attack and has built up a creative and captivating French team. Will it be able to suit these qualities to the rigorous requirements of a World Cup tournament?

**პლატინი**

Michel Platini, the "super star" of the French team.




**GROUP VI**  
**BRAZIL**

Thanks to Tele Santana, Brazil has rediscovered the flamboyant style which led it to World Cup victory three times -- an absolute record. Will, in Spain, will be able to stop them from winning it a fourth time?

**სოკრატესი**

Socrates, the "super star" of the Brazilian team.




**უკრაინა**

Standing from left to right: Borukhin, Burak, Samoylovich, Cherenin, Cherenyukhin, Burakov, Akhremov, Sushak, Kozlov, Bul, Chughrina, Cherenin, Akhremov.

David Kipiani, star of Soviet football.



**U.S.S.R.**

Having lost its sway for some time, the USSR is now aspiring again to all its international ambitions. It is the number one outsider for the World Title.

The Soviet Union was head and shoulders above the others in its qualifying group during which, it only gave away two draw matches in Cardiff against Wales, (0-0) and in Prague against Czechoslovakia (1-1). It was about time that she reacted because after her absence from the last two World Cups and from the final stages of the 1980 European championship, one wondered if she would ever regain her position among the best European nations.

If there is any man to which Soviet soccer should pay tribute, it must be Constantine Beskov. As successor to the Ukrainian selector, Nikita Simonian, he achieved nobility in 1979, when he won the Russian champion-



ჲს იყი, იყი!..

# იზინე სეიმჰინე



# ბარსელონა

## ← მეთორმევე გვერდიდან

ში“ ვერ აეწყო, ამიტომ 1984 წელს, არგენტინელი გადავიდა იტალიურ „ნაპოლიში“.

1984-85 წლების სეზონის დაწყებამდე კლუბის მწვრთნელად დაინიშნა ინგლისელი ტერი ვენიბლსი. კლუბში მოვიდა გერმანელი ნახევარმცველი ბერნდ შუსტერიც. ამავე წლების სეზონზე გუნდმა მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, შემდეგ კი ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა, სადაც სევილიაში სტადიონ „რამონ სანჩეს პისხუანზე“ დამარცხდა რუმინულ „სტიაუსთან“ პენალტების სერიაში.

1986 წლის ზაფხულში კლუბში მივიდა მსოფლიოს ჩემპიონატის მოქმედი ბომბარდირი გარი ლინეკარი და პერსპექტიული ბასკი მეკარე ანდონი სუბისარეტა. ამავე პერიოდში გუნდი დატოვა ბერნდ შუსტერმა, რომელიც გადავიდა „ბარსას“ უპირველესი მეტოქის — მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში. 1987-1988 წლების სეზონის დაწყებამდე კლუბის მწვრთნელი ვენიბლსის ნაცვლად გახდა ლუის არაგონესი. ის სეზონი დამთავრდა ესპანეთის თასის გამარჯვებითა (ფინალში „ბარსამ“ დაამარცხა „რეალ სოსიედადი“ ანგარიშით 1:0) და მოთამაშეების მიერ პრეზიდენტ ნუნიესის წინააღმდეგ აჯანყებით, რომელიც ცნობილია, როგორც „მოტივ-დელ-ესპერია“ და რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, ხელი არ შეუშლია ნუნიესის შემდგომი მოღვაწეობისათვის ამ თანამდებობაზე (ის კლუბის პრეზიდენტი 2000 წლამდე იყო). ამ მოვლენის შემდეგ ბევრი ფეხბურთელი იძულებული გახდა, კლუბი დაეტოვებინა.

1988 წელს გუნდში იოჰან კრუიფი უკვე მწვრთნელის როლში დაბრუნდა. გუნდის შემადგენლობამ, რომელსაც იგი სათავეში ჩაუდგა, ოდნავ მოგვიანებით, 1990-იან წლებში, მიიღო ზედმეტსახელი „ოცნების გუნდი“ („Dream Team“) (იმ წლების აშშ-ის კალათბურთის ნაკრების ანალოგიურად, რომელმაც გაიმარჯვა 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე, რომელიც სწორედ ქალაქ ბარსელონაში გაიმართა).

იმ პერიოდის „ბარსელონაში“ მოვიდა შესანიშნავი მოთამაშეების პლეადა: ხოსეპ გვარდიოლა, ხოსე მარი ბაკერო, ჩიკი ბეგირისტიანი, ანდონი გოეკოენია, გეორგე ჰაჯი, მიქაელ ლაუდრუპი, რონალდ კუმანი, ხრისტო სტიოჩკოვი და რომარიო.

1991—1994 წლებში „ბარსამ“ ზედიზედ ოთხჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი. ევროასპარეზზე გუნდმა იმარჯვა 1988-1989 წლების თასების მფლობელთა თასზე (ფინალში დაამარცხა „სამპდორია“ ანგარიშით 1:0) და 1991-92 წლების ჩემპიონთა თასზე (დრამატულ მატჩში ლონდონის „უემბლის“, სტადიონზე „ბარსამ“ იმავე „სამპდორიის“ დამარცხება შეძლო. გადამწყვეტი გოლი საჯარიმო დარტყმით, თამაშის 111-ე წუთზე

წარმატებული გამოდგა: გუნდმა შეასრულა თასების ჰეთ-თრიკი (ესპანეთის თასი, ესპანეთის სუპერთასი და თასების მფლობელთა თასი). გარდა ამისა, „ბარსაში“ ყოფნის პერიოდში რობსონმა მოასწრო ჰოლანდიური „ეინდჰოვენის“ მომავალი სუპერვარსკვლავის, რონალდოს შექენა და მომავალში ფრთიან გამონათქვამად ქცეული ფრაზის წარმოთქმა: „კატალონია — ქვეყანაა, ხოლო საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ — მისი ჯარი“.



„ბარსელონა“ ყოველთვის ერთსულოვნებით გამოირჩევა

გაიტანა რონალდ კუმანმა). გარდა ამისა, საკლუბო ჯილდოების კოლექცია შეივსო ესპანეთის თასით, უეფა-ს სუპერთასით და სამი ესპანეთის სუპერთასით. თუმცა მალევე გამარჯვებების სერია დასასრულს მიუახლოვდა. 1993-94 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსა“ გაანადგურა „მილანმა“ ანგარიშით 0:4. 1996 წელს, ორი არცთუ ისე წარმატებული სეზონის შემდეგ (1994/95, 1995/96), კრუიფმა დატოვა მწვრთნელის პოსტი. ამ პოსტზე კრუიფმა დაამყარა კლუბის ორი სამწვრთნელო რეკორდი: მან ყველაზე მეტ ხანს — რვა წლის მანძილზე უხელმძღვანელა „ბარსელონას“ და მოიგო თერთმეტი ტიტული. კრუიფის წასვლა ითვლება „ოცნების გუნდის“ დასასრულად, იმ ლეგენდარული შემადგენლობის ფეხბურთელების უმეტესობა 1997 წლის დასაწყისში გუნდიდან წავიდა.

კრუიფის წასვლის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ინგლისელმა ბობი რობსონმა, რომელმაც ამ პოსტზე მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო (1996-97), თუმცა მისი მოღვაწეობა საკმაოდ

რონალდომ კლუბში უმაღლეს დონეზე ითამაშა, თუმცა მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში და შემდეგ მილანის „ინტერში“ გადავიდა. რობსონი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ჰოლანდიელმა ლუის ვან გაალმა. ამ დროისთვის გუნდის გამოკვეთილ ლიდერად ბრაზილიელი რივალდო ჩამოყალიბდა

1997-98 წლების სეზონში გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატისა და თასის მოგება შეძლო. ჩემპიონთა თასზე გამოსვლა კი წარუმატებელი აღმოჩნდა — გარდა ამისა, „ბარსელონა“ გულშემატკივრების წინაშე შერცხვა, როდესაც „კამპ ნოუზე“ კიევის „დინამოსთან“ ანგარიშით 0:4 დამარცხდა. 1999 წელს კლუბმა აღნიშნა თავისი არსებობის ასი წლის იუბილე, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის მოგებით დაავაგრძელებს.

იმავე წელს კლუბის ლიდერი, რივალდო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, მოიგო რა ოქროს ბურთი, რითიც იგი „ბარსელონას“ ისტორიაში ამ ტიტულის მფლობელი მეოთხე ფეხბურთელი გახდა. თუმცა

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ვალენსიელი“ თანამემამულეების წინააღმდეგ მარცხი ჩავარდნად ჩაუთვალეს გუნდს, განსაკუთრებით კი იმის ფონზე, რომ იმავე ტურნირში კატალონიელების მთავარმა მეტოქემ — მადრიდის „რეალმა“ გაიმარჯვა. საბოლოოდ ამ ყველაფერს მოყვას, რომ, მიუხედავად კლუბის დიდი წარმატებისა შიდაესპანურ დონეზე, პოსტიდან გადადგომა მოუწიათ, როგორც პრეზიდენტი ხოსეპ ნუნიესს, ასევე გუნდის მთავარ მწვრთნელს, ლუის ვან გაალს. ნუნიესისა და ვან გაალის წასვლა არაფერი იყო იმასთან, რაც შემდეგ მოხდა. იმავე წელს კლუბი დატოვა ვიცე-კაპიტანმა და ფანების საყვარელმა ფეხბურთელმა ლუიშ ფიგუმ, რომელმაც „ბარსას“ მთავარი მეტოქის — „რეალის“ შემადგენლობაში გააგრძელა კარიერა, რაც მას გულშემატკივრებმა არ აპატიეს და „კამპ ნოუზე“ ყოველი ვიზიტი მისთვის ჯოჯოხეთში თამაშს უდრიდა. ჟოან გასპარის პრეზიდენტობის პერიოდში (2000—2003) კლუბმა ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია. ხშირად იცვლებოდნენ მწვრთნელები, მოთამაშეები, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო და საბოლოოდ 2003 წელს გასპარი პოსტიდან გადადგა.

2003 წელს გასპარის წასვლის შემდეგ კლუბს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა, რომელმაც „ბარსელონას“ ძველი დიდება დაუბრუნა. მასთან ერთად გუნდში მოვიდა ახალგაზრდა მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი, „აიაქსისა“ და „მილანის“ ყოფილი ვარსკვლავი.

მისი ხელმძღვანელობის ქვეშ გუნდმა თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ძველი დიდების დაბრუნება. კლუბში მოვიდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი რონალდინიო, დეკუ, სამუელ ეტო'ო, რაფაელ მარკესი. გარდა ამისა ამ დროისთვის თავისი ნიჭი სრულად გამოავლინეს კლუბის აღზრდილებმა: ლიონელ მესიმ, კარლეს პუიოლმა (რომელმაც კაპიტანის სამკლავური მიიღო), ნახევარმცველებმა ანდრეს ინიესტამ და ხავიმ, ასევე მეკარე ვიქტორ ვალდესმა. გუნდს შეუერთდნენ გამოცდილი ჰენრიკ ლარსონი და ჯოვანი ვან ბრონხორსტი. ამ შემადგენლობით „ბარსელონამ“ უკვე ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია.

რაიკარდმა მისთვის პირველ სეზონში (2003-04) გუნდი ჩემპიონატში მეორე ადგილზე გაიყვანა, უკვე მეორე სეზონისთვის კი (2004-2005) დამაჯერებლად გაიმარჯვა პრიმერა

დივიზიონში და ესპანეთის სუპერთასიც აიღო. „ბარსელონას“ ლიდერი რონალდინიო კი გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ფიფა-ს ვერსიით და მიიღო ოქროს ბურთი.

ჩემპიონთა ლიგაზე 2004-2005 წლებში გუნდმა მარცხი განიცადა: ფლეი-ოფის პირველივე რაუნდში ლონდონის „ჩელსისთან“ საშინაო მატაშის შემდეგ 2:1 — კატალონიელები „სტემფორდ ბრიჯზე“ დამარცხდნენ ანგარიშით 4:2 (საერთო ანგარიში 5:4 ლონდონელების სასარგებლოდ

2005-2006 წლების სეზონი ლაპორტას ხელმძღვანელობის პერიოდში საუკეთესო იყო. 2005 წლის 19 ნოემბერს „ბარსელონამ“ „რეალი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაამარცხა ანგარიშით 3:0. ეს მატჩი რონალდინიოს ბენფისად იქცა, რომელსაც ტაში მასპინძელთა გულშემატკივრებმაც კი დაუკრეს, „ბარსელონამ“ კი ადვილად მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, შემდეგ აიღო სუპერთასი, სადაც ორჯერ დაამარცხა კიდევ ერთი შეურიგებელი მეტოქე — „ესპანოლი“. იმავე სეზონში „ბარსამ“ სტუმრად მოუგო „ჩელსის“ 1:2 და „მილანს“ 0:1. თუმცა წარმატებთა კულმინაცია 2006 წლის 17 მაისს, პარიზში „სტად-დე-ფრანსზე“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვება გამოდგა. კატალონიელებმა დრამატულ მატჩში ლონდონის „არსენალი“ დაამარცხეს ანგარიშით 2:1.

2006 წლის მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატზე „ბარსელონამ“ ფინალი ბრაზილიურ „ინტერნასიონალთან“ წააგო.

2007-08 წლების სეზონის წინ გუნდს შეუერთდა ლონდონის „არსენალიდან“ ნაყიდი თავდამსხმელი ტიერი ანრი, რაც გუნდის შემადგენლობაში უკვე ყოფილი ოსტატებთან ერთად დიდ იმედებს იძლეოდა წარმატებისაკენ.

ტიერი ანრიმ, ერიკ აბიდალმა, იაია ტურემ და გაბრიელ მილიტომ გუნდში არსებული ყველა პრობლემას ატყუდობდნენ და იმ სეზონს გულშემატკივარი დიდი იმედებით შეხვდა. თუმცა, სამწუხაროდ, სეზონი ჩავარდნილი აღმოჩნდა. გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატში კონკურენცია ვერ გაუწია არა მხოლოდ მადრიდის

„რეალს“, არამედ „ვილიარეალსაც“ და მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა. ჩემპიონთა ლიგაში „ბარსა“ ნახევარფინალში დამარცხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ (0:1 ორი მატჩის ჯამში). ამ წარუმატებელი სეზონის შემდეგ ფრანკ რაიკარდი მწვრთნელის პოსტიდან მოხსნეს.

2008-2009 წლებში „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ და გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტიანმა სარისკო ნაბიჯი გადადგეს და მწვრთნელად კლუბის ყოფილი ნახევარმცველი — პეპ გვარდიოლა მოიწვიეს. გვარდიოლას სამწვრთნელო გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ „ბარსელონა B-ს“ მწვრთნელობით შემოიფარგლებოდა, ამიტომ ეს ნაბიჯი კრიტიკის საბაზი გახდა. გვარდიოლას მოსვლასთან ერთად დაიწყო გუნდის შემადგენლობის განახლება. გუნდი დატოვეს ჯანლუკა ძამბროტამ, დეკუმ, ედმილსონმა, ლილიან ტურამმა, ესკერომ და თვით რონალდინიომ. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ხელმძღვანელობა ახალი ფეხბურთელებით აპირებდა გუნდის გაძლიერებას. გუნდში მოვიდნენ; ხერარდ პიკე, მარტინ კასერესი, დანი ალვეში და ალექსანდრ გლეზი.

სეზონი „ბარსასთვის“ წარუმატებლად დაიწყო. გუნდი პრიმერა დივიზიონის გახსნით მატჩში „ნუმანსიასთან“ დამარცხდა, შემდეგ კი „რასინგის“ დამარცხებაც ვერ შეძლო. ასეთი სტარტის შემდეგ გუნდს დამის ხელმძღვანელობას კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავზე. მაგრამ გუნდმა ცოტა ხანში მიღწეული შედეგებითა და თამაშის ხარისხით ჩინებულად წარმოაჩინა თავი.

ესპანეთის ჩემპიონატში ცუდი სტარტის მიუხედავად, „ბარსამ“ მაღევე დაიმკვიდრა თავი პირველ



ხავი





ადგილზე და უშუალო კონკურენტის მადრიდის „რეალის“ დამარცხების შემდეგ ზამთრის შესვენებაზე თორმეტ ქულიანი ფორით გავიდა. მეორე წრის დასაწყისში კატალონიელებმა რამდენიმე თამაში არც თუ ისე შთამბეჭდავად ჩაატარეს და „რეალის“ გულშემატკივრებს იმის საბაზი მისცეს, რათა ეფიქრათ, რომ თითქოს ინტრიგა აღსდგა, მაგრამ ისევ და ისევ „რეალთან“ „სანტიაგო ბერნაბეუს“ სახელობის მოედანზე ჩატარებულ მატჩში „ბარსელონამ“ დაამტკიცა, რომ იგი ესპანეთში საუკეთესო იყო და უამრავი მაყურებლის თვალწინ, ადგილობრივი გუნდი ანგარიშით 6:2 დაამარცხა. ეს შედეგი რეკორდული აღმოჩნდა.

**2008-2009 წლების სეზონში** „ბარსამ“ მეცხრამეტედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, მაგრამ გვარდიოლას ბიჭებს წინ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელოდათ. ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაში „ბარსელონამ“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხა. ცუდი სტარტის მიუხედავად „ბარსელონამ“ თავისი პირველივე შეტევის გოლით დასრულება მოახერხა, უფრო კონკრეტულად კი ეს სამუელ ეტო'ომ შეძლო ისევ ისე, როგორც სულ რამდენიმე წლის წინ პარიზის ფინალში. ვერც პირველ ტაიმში და ვერც მეორეში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა კრიშტიანუ რონალდუმ და მისმა გუნდმა ვერაფერი ვერ მოუხერხეს „ბარსას“ დაცვას. სამაგიეროდ დაბალმა ლეო მესიმ მანჩესტერელთა კარში მეორე გოლი თავით გატანა და მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა.

**2008-2009 წლების სეზონში** კლუბმა ტრიპლეტის შესრულება შეძლო – მოიგო რა სამი ტურნირი ერთ სეზონში: ესპანეთის ჩემპიონატი და თასი, ასევე ჩემპიონთა ლიგა. ასეთი შედეგი ესპანეთის გუნდებისათვის აქამდე მიუღწეველი იყო.

ესპანეთის სუპერთასისთვის ორრაუნდიან ორთაბრძოლაში გუნდმა დაამარცხა ბილბაოს „ატლეტიკი“. **2009 წლის 16 აგვისტოს** „სან-მამესზე“ ლურჯ-ბრონეულისფერ ფორმაში გამონწყობილმა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგეს **2:1** სძლიეს, ერთი კვირის შემდეგ კი „კამპ ნოუზე“ კვლავ გაიმარჯვეს ანგარიშით **3:0**. შემდეგ „ბარსელონამ“ ევროპის სუპერ თასი და კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგო...

ამის შემდეგ „ბარსელონას“ და „ინტერის“ წარმომადგენლებმა ხმამაღალი სატრანსფერო გაცვლის შესახებ გააკეთეს განცხადება.

**საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ მიერ**

**მოპოვებული ტიტულები:**

ესპანეთის ჩემპიონატის

გამარჯვებული:

(22): 1929, 1944/45, 1947/48, 1948/49, 1951/52, 1952/53, 1958/59, 1959/60, 1973/74, 1984/85, 1990/91, 1991/92, 1992/93, 1993/94, 1997/98, 1998/99, 2004/05, 2005/06, 2008/09, 2009/10, 2010/11, 2012/13.

ვიცე-ჩემპიონი:

(23): 1929/30, 1945/46, 1953/54, 1954/55, 1955/56, 1961/62, 1963/64, 1966/67, 1967/68, 1970/71, 1972/73, 1975/76, 1976/77, 1977/78, 1981/82, 1985/86, 1986/87, 1988/89, 1996/97, 1999/2000, 2002/04, 2006/07, 2011/12.

ესპანეთის თასის

გვლოვანი:

(26): 1910, 1912, 1913, 1920, 1922, 1925, 1926, 1928, 1942, 1951, 1952, 1952/53, 1957, 1958/59, 1962/63, 1967/68, 1970/71, 1977/78, 1980/81, 1982/83, 1987/88, 1989/90, 1996/97, 1997/98, 2008/09, 2011/12.

ფინალისტი:

(10): 1902, 1919, 1932, 1936, 1954, 1973/74, 1983/84, 1985/86, 1995/96, 2010/11.

ესპანეთის სუპერთასის

გვლოვანი:

(11): 1983, 1991, 1992, 1994, 1996, 2005, 2006, 2009, 2010, 2011, 2013.

ფინალისტი:

(7): 1985, 1988, 1990, 1993, 1997, 1998, 1999, 2012.

ჩემპიონთა ლიგის

გამარჯვებული:

(4): 1992, 2006, 2009, 2011.

ფინალისტი:

(3): 1961, 1986, 1994.

გაზრობათა თასის

გამარჯვებული:

(3): 1955/58, 1958/60, 1965/66.

ფინალისტი:

(1): 1961/62.

თასების გვლოვალთა თასის

გვლოვანი:

(4): 1979, 1982, 1989, 1997.

ფინალისტი:

(2): 1969, 1991.

უფა-ს სუპერთასის

გვლოვანი:

(4): 1992, 1997, 2009, 2011.

ფინალისტი:

(4): 1979, 1982, 1989, 2006.

საკონტინენტთაშორისო თასის

ფინალისტი:

(1): 1992.

უფა-ს მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის

გამარჯვებული:

(2): 2009, 2011.

ფინალისტი:

(1): 2006.

„ბარსელონაში“ გადავიდა შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი, „ინტერში“ კი სამუელ ეტო'ომ გადაბარგდა. კამერუნელი თავდამსხმელის გარდა „ბარსელონამ“ იბრაჰიმოვიჩში **46** მილიონი ევრო გადაიხადა, რამაც შვედი ფეხბურთელი კლუბის ყველაზე ძვირადღირებულ შენაძენად გახადა. ასევე ამ შეთანხმების ნაწილად ითვლებოდა ალექსანდრ გლერის არენდა,

მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა და „ინტერის“ ნაცვლად გლერი გერმანულ „შტუტგარტში“ გადავიდა.

გვარდიოლას შეგირდებმა კიდევ ერთხელ მოიგეს ესპანეთის ჩემპიონატი, გარდა ამისა, მათ არც თუ ისე ცუდი შედეგი აჩვენეს ევროპულ არენაზე. გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავა, ჩემპიონთა ლიგის ფლეი-ოფში გავიდა და ნახ-

ევარფინალამდეც მიიღწია, მაგრამ „ბარსა“ შეაჩერა მილანის „ინტერმა“, რომელმაც საბოლოოდ ტურნირი მოიგო კიდევაც.

2010-2011 წლების სეზონი „ბარსელონასთვის“ ესპანეთის სუპერთასის დაცვით დაიწყო. „სევილიასთან“ პირველ მატჩში დამარცხების შემდეგ (3:1), საპასუხო შეხვედრა კატალონიურმა კლუბმა ანგარიშით 4:0 მოიგო.

2010-2011 წლების სეზონის მატჩში, თორმეტი ტურის მერე პირველ ადგილზე მყოფი „რეალი“, რომელსაც ჟოზე მარინიო ხელმძღვანელობდა, „ბარსელონასთან“ განადგურდა ანგარიშით 5:0. მატჩში რამდენჯერმე მოხდა ფეხბურთელებს შორის დაპირისპირება, რის შედეგადაც ნაჩვენები იქნა 12 ყვითელი და 1 წითელი ბარათი.

2011 წლის 28 მაისს „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში კვლავ დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი“ ანგარიშით 3:1. გოლები გაიტანეს პედრომ, ვილიამ და მესიმ. შემდეგ კი უეფა-ს სუპერთასის დაუ-

ფლების დროც მოვიდა. „ბარსელონამ“ ამ ჯილდოს მოპოვება „პორტუს“ დამარცხებით მოახერხა. ამ ტიტულის მოგებით კატალონიურმა კლუბმა 1964 წლის მერე პირველად ჩამოიტოვა მადრიდის „რეალი“ მოგებული ტიტულების რაოდენობით: „ბარსელონასთვის“ ეს სამოცდამეექვსმეტე ოფიციალური ტიტული ერთით მეტი იყო „რეალის“ მიერ მოპოვებულ ტიტულებზე.

2012 წლის 27 აპრილს მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ კლუბის დატოვებას აპირებდა. მისი თქმით, წასვლის მიზეზი გახდა სამუშაოს განაღდება. მას დასვენების სურვილი აღედგა. მისი მწვრთნელის პოსტზე მუშაობის მონაგარი ოთხი სეზონის განმავლობაში ცამეტი ტიტული იყო.

2012 წლის ზაფხულში, გვარდიოლას წასვლის შემდეგ, გუნდს სათავეში ჩაუდგა მისი ასისტენტი — ტიტო ვილანოვა.

ახალი მწვრთნელისთვის სეზონის დასაწყისი არცთუ ისე კარგი

გამოდგა. „ბარსელონა“ ესპანეთის სუპერთასისთვის ბრძოლაში თავისი მთავარი მეტოქის — მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ დამარცხდა. მონინააღმდეგის მოედანზე გატანილი გოლის წესის მიხედვით (3:2, 1:2). თუმცა ჩემპიონატის სტარტი საუკეთესო გამოუვიდა ვილანოვას და მის გუნდს.

2013 წლის 19 ივლისს კლუბის პრეზიდენტის, სანდრო როსელისა და სპორტული დირექტორის, ანდონი სუბისარეტას მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა ვილანოვას „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომის ამბავი, რაც დაკავშირებული იყო ჯანმრთელობის პრობლემებთან. საბოლოოდ ვილანოვას განვრთნილმა „ბარსელონამ“ ესპანეთის ჩემპიონატი ძალზე დამაჯერებლად მოიგო, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მიუნხენის „ბაიერნთან“ ორი მატჩის ჯამში ანგარიშით 0:7 განადგურდა. დღესდღეობით „ბარსელონას“ არგენტინელი ხერარდო მარტინო წვრთნის.

## „ოქროს ნაკრების“ ჯგუფის წევრი

### ნაწყვეტი იგორ ფესუნენჯოს ნაშრომიდან

1968 წლის 6 ნოემბრის საღამოს ბრაზილიაში სიცოცხლე ჩაკვდა. როდესაც ფანერიოსა და სან-პაულოს ქუჩებში მიყურდა ავტომანქანების ჯოჯოხეთური მოძრაობა. დაცარიელდა მალაზიები. დროზე ადრე დაიკეტა საფუნთუშეები და აფთიაქები... ტელევიზორების ეკრანებსა და ტრანზისტორებს მიეჯაჭვა 90 მილიონი ბრაზილიელი – ყველა, გარდა იმ 150 ათასი გულშემატკივრისა, რომელსაც ბედმა გაუღიმა და „მარაკანაზე“ მოხვდა, თუმცა კი ზღაპრული თანხის ფასად. ამ დღეს ბრაზილიის ნაკრებმა, ეროვნული ფეხბურთის 50 წლისთავისა და 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის სახელგანთქმული „ოქროს“ ნაკრების გამარჯვების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩში, ანგარიშით 2:1 დაამარცხა მსოფლიოს ნაკრები...


მაშ ასე, ათ წელზე მეტმა განვლო მას შენდევ, რაც ფინალურ მატჩში დამარცხებულმა შვეციის გუნდმა პირველმა მიულოცა გამარჯვება ბედნიერებისაგან თავბრუდახვეულ თავის მეტოქეებს!.. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ: მთვარეზე ხომალდები გაუშვეს, აღმოაჩინეს ფეხბურთის ახალი სტრატეგიული ვარიანტები, რომელიც გამოიხატება მაგიურ ფორმულებში – 4+3+3, 4+4+2. ექიმებმა დაიწყეს ადამიანების გულის გადანერგვა, გვერდითმა დამცველებმა კი – თავდასხმაში მონაწილეობა. ინჟინრებმა შექმნეს გლობალური ტელევიზიის სისტემები, ფეხბურთის იურისტები კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელია თამაშში ორი მინდვრის მოათამაშის შეცვლა... ბრაზილიის ნაკრები ჩილეში გახდა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ხოლო ინგლისში დამარცხდა, რაც ექსპანსიურმა თანამემამულეებმა ეროვნულ უბედურებად მიიჩნიეს.

კი მაგრამ, რა ბედი ეწია ამ ხნის მანძილზე „ოქროს ნაკრებს“? სად არიან ახლა ისინი – თერთმეტი ლეგენდარული რაინდი, რომლებმაც 1958 წლის ფინალურ მატჩში შვეციის მეფის თვალწინ ანგარიშით 5:2 გაანადგურეს მრისხანე შვეციის გუნდი? მეკარე

ჟილმარი, დამცველები – ჯალმა სანტოსი, ბელინი, ორლანდო, ნილტონ სანტოსი, ნახევარმცველები – ზიტო და დიდი, თავდამსხმელები – ზაგალო, ვაგა, პელე და გარინჩა...

აქვე შევნიშნავთ, რომ მხოლოდ ერთმა მათგანმა – ყველაზე უფროსმა, 45 წლის მარცხენა დამცველმა ნილტონ სანტოსმა – ფეხბურთის ენციკლოპედიაში, როგორც მას ტორსიდამ და პრესამ შეარქვეს, – საბოლოოდ მიატოვა ფეხბურთი. ნილტონმა აფთიაქი და სპორტული საქონ-



მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები

ლის მალაზია იყიდა „ბოტაფოგოს“ ერთ-ერთ ხალხმრავალ და ხმაურთან კვარტალში. თუმცა, ზოგჯერ მას „ფლამენგოს“ პარკშიც შეიძლება შეხვდეთ, სადაც შაბათ-კვირაობით ბურთით იქცევენ ხოლმე თავს იმ ბედნიერ ბავშვებთან ერთად, რიო-დე-ჟანეიროს კვარტლებისა და ქუჩების ჩემპიონატში რომ მონაწილეობენ. ეს ჩემპიონატები აქ მალალ დონეზე ტარდება, ფეხბურთის ხელოვნების ყველა წესის დაცვით: მაყურებლებითა და მსაჯებით, ვიმპელებითა და თასებით, გულშემატკივართა ალტაცებული შეძახილებითა და სინანულის ცრემლებით...

დანარჩენი ათი ვეტერანის ბედი ჯერჯერობით კვლავ ფეხბურთთან არის დაკავშირებული, მაგრამ თითოეული მათგანის ცხოვრება სხვადასხვაგვარად წარიმართა...

მეკარე ჟილმარ დოს სანტოს ნევესი ჯერ ისევ ირიცხება „სანტოსის“ საშტატო განრიგში, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს და ვეტერანსაც სულ უფრო ხშირად უხდება ჯდომა სათადარიგო სკამზე. თუმცა, 1969 წლის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ერთ კურიოზულ შემთხვევას, რომელიც მხოლოდ ბრაზილიურ ფეხბურთში თუ შეიძლება მომხდარიყო. ზედმეტი მოგების წყურვილმა კლუბების დირექტორმა იქამდე გაიტაცა, რომ „სანტოსს“ ერთსა და იმავე დღეს ორი მატჩი დაუნიშნა, ერთი – არგენტინაში, მეორე – სან-პაულოს შტატის ერთ პატარა ქალაქმარინგაში (სიტყვამ მოიტანა და, ეს ქალაქი, ალბათ, მსოფლიოს ერთადერთი დასახლებული პუნქტია, რომელმაც თავისი სახელი პოპულარული სიმღერის – „მარინგას“ სახელწოდებით მიიღო).

არგენტინაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი შემადგენლობა გაემგზავრა, მარინგაში კი სათადარიგო მოთამაშეები გაუშვეს ჟილმართან ერთად. ვეტერანმა ეს მატჩი დიდი აღმავლობით ჩაატარა. პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომელთა ავტორები ჟილმარის დაბრუნებასაც კი მოითხოვდნენ ქვეყნის ნაკრების კარში, სადაც ორივე მეკარე – ფელიქსიკა და კლაუდიოც – ამ დროს მეტად სუსტად თამაშობდნენ.

ჟილმარმა უარი თქვა ამ პატივზე, თუმცა, თანხმობა განაცხადა ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ 1969 წლის 12 ივნისის მატჩში მონაწილეობაზე. ეს მისი მეასე მატჩი იყო ქვეყნის ნაკრებში. „ჩემი დასვენების ჯერიც დადგა, დროა, ახალგაზრდებს დავუთმო ასპარეზი, – განუცხადა მან „რეპორტიორებს“. ჟილმარმა შეძლო მშვიდი სიბერის უზრუნველყოფა: მას პატარა იურიდიული ფირმა აქვს და მსხვილი კომპანიების რამდენიმე ხელსაყრელი მიწვევა, მსხვილი კომპანიებისა, რომლებსაც სურვილი აქვთ, „ბი-კამპეონი“ მათი „საგარეო

უკანასკნელად გამოვიდა 39 წლის ზანგი ჯალმა სანტოსი – მარჯვენა მცველი. 16 წლის მანძილზე ამ შესანიშნავ ფეხბურთელს ალტაცებაში მოჰყავდა ყველა კონტინენტის გულშემატკივარი. თავისი საოცარი სიმშვიდით იგი ფარ-ხმალს აყრევინებდა ყველაზე სწრაფ და მოხერხებულ ფორვარდებს, რომლებსაც უბედურებად მიაჩნდათ ბრაზილიის წინააღმდეგ შეტევის მარცხენა ფრთაზე გამოსვლა. სიტყვამ მოიტანა და, 1965 წელს, ლუჟნიკებში, საბჭოთა კავშირსა და ბრაზილიის ნაკრების მატჩზე დამსწრე საბჭოთა გულშემატკივრებს შესაძლებლობა მიეცათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ის ალფრთოვანებული ეპითეტები, რომლითაც მსოფლიო პრესა ამკობდა ხოლმე ამ ვირტუოზს, სრულებითაც არ იყო საფუძველს მოკლებული.

მაშ ასე, ჯალმა სანტოსი ემშვიდობებოდა ნაკრებს... მეთაე წუთზე შეწყდა ურუგვაელებთან მატჩი. სტადიონი ფეხზე ადგომით მიესალმებოდა ჯალმას, თვალცრემლიანი უკანასკნელად რომ მიაბიჯებდა „მარა-



დიდის ბალეტი

კანას“ ყვავილებით მოფენილ მწვანე ხალიჩაზე.

ტრიბუნებზეც ტიროდნენ, როცა იხსენებდნენ 1958 წლის დიდებას და 1966-ის ტრაგედიას... ტიროდნენ, რადგან მიაცილებდნენ კიდევ ერთ „მოპიკანს“.

ჯალმა სანტოსი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ფეხსაცმლის პატარა სახელოსნოს გახსნაზე ოცნებობდა: ბავშვობაში, ვიდრე ფეხბურთის თამაშს დაიწყებდა, შეგირდად მუშაობდა ერთ ლარიბ-ლატაკ სახარაზოში, სადაც მიზნად დაისახა „ხალხში გამოსვლა“. ახლა ჯალმას ოცნების განხორციელებას თითქმის აღარაფერი აკლია, თუმცა ჯერ კიდევ სჭირდება მცირეოდენი ფულის შეგროვება. სწორედ ამიტომ ჯალმამ, როგორც იქნა, დაიყოლია თავისი კლუბის – „პალმეირასის“ ხელმძღვანელები, რათა მიეყიდათ იგი ქალაქ კურიტიბის პროვინციული გუნდისათვის – „ატლეტიკოსთვის“, სადაც ბი-კამპეონს ერთობ სოლიდური თანხა შესთავაზეს. აქ ჯალმა თამაშობს თავის ძველ კოლეგასა და

ურთიერთობათა და პროპაგანდის“ დირექტორი გახდეს.

ორლანდო დიდი ხნის განმავლობაში „სანტოსში“ თამაშობდა, 1969 წელს კი შეძლო თავისი სიჭაბუკის კლუბში რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო-და-გამაში“ გადასვლა, სადაც 33 წლის ასაკში გახდა წამყვანი ფეხბურთელი, გუნდის კაპიტანი, დაცვითი ხაზის საიმედო „მწმენდავი“.

„სანტოსის“ მეორე აღზრდილი – ზიტო, რომელიც ბევრს ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე გამოჩენილ ნახევარმცველად მიაჩნია, მშობლიურ კლუბში დარჩა „სუპერვიზორის“ თანამდებობაზე. ეს დაახლოებით გენერალური ინსპექტორის თანამდებობას უდრის. ზიტომ გვიამბო, რომ ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდულ გუნდთან მუშაობას უთმობს, რათა „სანტოსმა“ ოდესმე მაინც შეძლოს „თვითმომსახურებაზე“ გადასვლა, და, ამრიგად, აღარ დასჭირდეს სხვა კლუბებიდან მოთამაშეთა შესყიდვა.

1968 წლის 13 ივნისს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში

კანას“ ყვავილებით მოფენილ მწვანე ხალიჩაზე.

ტრიბუნებზეც ტიროდნენ, როცა იხსენებდნენ 1958 წლის დიდებას და 1966-ის ტრაგედიას... ტიროდნენ, რადგან მიაცილებდნენ კიდევ ერთ „მოპიკანს“.

ჯალმა სანტოსი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ფეხსაცმლის პატარა სახელოსნოს გახსნაზე ოცნებობდა: ბავშვობაში, ვიდრე ფეხბურთის თამაშს დაიწყებდა, შეგირდად მუშაობდა ერთ ლარიბ-ლატაკ სახარაზოში, სადაც მიზნად დაისახა „ხალხში გამოსვლა“. ახლა ჯალმას ოცნების განხორციელებას თითქმის აღარაფერი აკლია, თუმცა ჯერ კიდევ სჭირდება მცირეოდენი ფულის შეგროვება. სწორედ ამიტომ ჯალმამ, როგორც იქნა, დაიყოლია თავისი კლუბის – „პალმეირასის“ ხელმძღვანელები, რათა მიეყიდათ იგი ქალაქ კურიტიბის პროვინციული გუნდისათვის – „ატლეტიკოსთვის“, სადაც ბი-კამპეონს ერთობ სოლიდური თანხა შესთავაზეს. აქ ჯალმა თამაშობს თავის ძველ კოლეგასა და





ბრაზილიელთა კაპიტანი ბელინი

1958-ის თანამებრძოლ ამხანაგთან – ბელინთან ერთად, რომელმაც ასევე დაიყოლია „სან-პაულოს“ კლუბი ამ გარესამუშაოზე წასასვლელად, ამბობენ, ბებერი ხარისა რქანიც კი ეწევიანო: სულ მალე, კურიტიბაში მათი გადასვლიდან, ბრაზილიის ფეხბურთის სამყარო განაცვიფრა „ატლეტიკოს“ სენსაციურმა გამარჯვებამ „სანტოსზე“ (3:2). ამ მატჩში „კურიტიბას“ გულშემატკივრები ნატრობდნენ ღირსეულად, არც ისე გამანადგურებელი ანგარიშით წაგებას, ამიტომ ამ გამარჯვებამ ისინი დიდებით განებივრებული „სანტოსის“ ვარსკვლავებზე ნაკლებ როდი განაცვიფრა. კარნავალი ქალაქში მთელ ღამეს გაგრძელდა. ჯალმა სანტოსი და ბელინი ხელში აყვანილნი დაჰყავდათ... სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ „ატლეტიკომ“ დაამარცხა მორიგი ფავორიტი – რიო-დე-ჟანეიროს „ფლუმინენსე“.

მოხუცები – ბელინი და სანტოსი, როგორც ჩანს, პატიოსანი შრომით მოიპოვებდნენ ლუკმაპურს.

1958 წლის ორი სხვა ვეტერანი – ვავა და დიდი ფეხბურთის ბედის საძიებლად საზღვარგარეთ გაემუჟრნენ. „ოქროს ნაკრების“ ერთ-ერთი ბომბარდირი ვავა ჯერ მადრიდის „ატლეტიკოს“ მიეყიდა, შემდეგ კი არაერთი კლუბი და ქალაქი გამოიცვალა. მის მაისურებს ყველაზე მოულოდნელი ემბლემები ამშვენებდა. წელს იგი მექსიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში თამაშობდა. შეერთებული შტატები, როგორც ცნობილია, ჯერ არ არის შეტანილი მსოფლიოს საფეხბურთო ლოცებში, მაგრამ უხვად იხდის დოლარებს, რომელიც, ეტყობა, უფრო მეტად აწყობს ვავას, ვიდრე ინფლაციის შედეგად ძალადაკარგული, გაფხეკილი ბრაზილიური კრუზეირო. ახლახან

ზაგალომ თავისი სიყრმის მეგობარს, ვავას, ასეთი წერილი მისწერა: „მოხუცო, ნულარ აცინებ ხალხს, თავი ანებე მილიონების დევნას და დაბრუნდი, ვიდრე გზა არ დაგვიწყებია“...

1969 წლის დასაწყისში ვავა, ბოლოს და ბოლოს, დაბრუნდა. საკმაოდ დატლანქდა, დაბერდა. ამიტომ დიდი კლუბები აღარ დაინტერესებულან ამ ოდესღაც ბრწყინვალე ფეხბურთელით. სათამაშოდ იგი მოკრძალებულმა კლუბმა „პორტუგეზამ“ მიიწვია. ვავა შინ იმედგაცრუებული დაბრუნდა. მართალია, ამერიკის გუნდებში მას თვეში 1200 დოლარს უხდიდნენ, მაგრამ ბრაზილიაში მხოლოდ ცოტაოდენი ფული ჩამოჰყვა. ამის მიზეზი, როგორც ვავა ჩიოდა, იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მძიმე გადასახადები და საშინელი სიძვირე.

დიდი – შავი უფლისწული, „ხმელი ფოთლის“ ცნობილი გამომგონებელი – ახლა პერუს ნაკრებს ავარჯიშებს და ამზადებს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშებისათვის. „ბი-კამპეონის“ აღზრდილებმა შესარჩევ თამაშებში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს, დაამარცხეს არა მარტო ბოლივიის მოკრძალებული გუნდი, არამედ ჯგუფის ფავორიტები – არგენტინელები, რომლებიც ბრძოლას გამოთიშეს. ამ წარმატებისთვის დიდი ქვეყნის ეროვნულ გმირად გამოაცხადეს და მთავრობამ იგი სოლიდური პრემიით დააჯილდოვა. ეს დაჯილდოება მით უფრო სამართლიანია, რომ ეროვნული გუნდის მომზადებისას დიდიმ უარი თქვა მონორდელი ჰონორარის მიღებაზე იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სამუშაოს იგი ასრულებს, ასე ვთქვათ, არა შიშით, არამედ სინდისით. თავის ჯგუფში შესარჩევი თამაშების დამთავრებისას დიდიმ საკმაოდ თამამდ გამოთქვა პროგნოზი მექსიკის დედაქალაქში გასამართი ფინალური მატჩების შესახებ. მისი აზრით, ევროპელებს, ინგლისელებს გარდა, საპარიზო ადგილების მოპოვების ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეთ. ძირითადი ბრძოლა, თქვა დიდიმ, გაიმართება მექსიკის, ბრაზილიის, ინგლისისა და... – ეშმაკსაც წაუღია თავმდაბლობა – პერუს გუნდებს შორის.

თავი ანება თამაშს, მაგრამ დიდ ფეხბურთს არ გამოსთხოვებია 1958 წლის „ოქროს ნაკრების“ მარცხენა გარემარბი ზაგალო. თითქმის მთელი ამ ხნის მანძილზე იგი თამაშობდა

„ბოტაფოგოში“, რომელიც თვით „სანტოსს“ ებაექრებოდა ბრაზილიის საუკეთესო კლუბის სახელისათვის. ორი წლის წინათ კი ზაგალო უკვე „ბოტაფოგოს“ მწვრთნელი გახდა, რის შემდეგ ამ გუნდის პრეტენზიებს კიდევ უფრო მეტი საფუძველი მიეცა. ყოველ შემთხვევაში, ზაგალოს ხელმძღვანელობით „ბოტაფოგომ“ ორი წლის მანძილზე (1967–1968 წლები) სამშობლოში თუ საზღვარგარეთ ჩატარებულ ყველა ჩემპიონატსა თუ ტურნირში, რომელშიც კი მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო.

როდესაც ზაგალოსაგან ინტერვიუს ვიღებდი, ვთხოვე, ეპასუხა, რაში ხედავს იგი 1958 წლის ფეხბურთის ძირითად განსხვავებას დღევანდელისაგან. მისი აზრით, თამაშის ტაქტიკის განვითარებაში ყველაზე დამახასიათებელი ტენდენციაა თამაშის სპეციალიზაციის თანდათანობით გაქრობა.


– როცა მე უკან ვიხვევდი ხოლმე დამცველთა დასახმარებლად, – თქვა ზაგალომ, – მწვრთნელები მიყვიროდნენ. როცა ნილტონ სანტოსი რისკითა და შიშით წინ მიიწევდა მონინალმდეგის საჯარიმო მოედნის მისადგომებთან რიცხობრივი უპირატესობის შესაქმნელად, ესე იგი, თავდამსხმელთა დასახმარებლად, მას სათადარიგო მოთამაშეთა სკამით ემუქრებოდნენ. დღეს კი დამცველებს გოლები გააქვთ, გარემარბები დაცვაში მონაწილეობენ, და უკვე აღარავინ ხედავს ამაში რაიმე ბოროტმოქმედებას. დღეს თითოეულ მოთამაშეს ყველაფრის გაკეთება უნდა შეეძლოს. რთულ სიტუაციებში, როცა ყველა თავდასხმამაშია და ყველა დაცვაში, როცა კარის სახიფათო ზონაში თავს იყრის მოთამაშეთა დიდი უმრავლესობა, გადამწყვეტ როლს ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა ასრულებს. ამაში ჩვენ, ბრაზილიელებს, ყოველთვის გვექნება მცირეოდენი უპირატესობა ჩვენი მონინალმდეგეების წინაშე.

მაშასე, ჩვენ გესაუბრეთ „ოქროს ნაკრების“ ყველა გმირის შესახებ, გარდა ორისა. ბრაზილიის ამ ორი ყველაზე სახელგანთქმული ფორვარდის, ფეხბურთის ორი გენის ბედი შეიძლება შევადაროთ ორ სანინალმდეგე პოლუსს, რომელთა შორის ბრაზილიის ფეხბურთის ყველა პროფესიონალის წინააღმდეგობებით აღსავსე გზებია გადაჭიმული.

საუბარი ეხება პელესა და გარინჩას. ყველაზე იღბლიანს და ყველაზე უიღბლოს.

ინტერვიუ

უზანს ზეჟენაჟუჟი: „ყველაზე დიდი სიაჟოჟნაჟა მსოჟღიოს 1970 წლის ჩეჟიონატჟა მოჟაჟაჟა“



მხოლოდ მწვანე მოედანზე განვითარებულ მოვლენებს ადევნებდა თვალ-ყურს. ცხადია, იტალიაში ჩატარებული მუნდიალიც დამამახსოვრდა – 1990 წელს ხომ მარიო ზაგალოს შემდეგ მეორე ადამიანი გავხდი, რომელსაც მოთამაშისა და მწვრონელის სტატუსში მსოფლიოს პირველობის მოგების პატივი და ბედნიერება მხვდა წილად. 1986 წლის ტურნირს რაც შეეხება, ფინალში არგენტინელებთან მარცხის შემდეგ დანა პირს არ მიხსნიდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მთლიან შეჯიბრებას ანალიზს რომ ვუკეთებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, მექსიკაში ხელმეორედ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები კვლავ შემოქმედებითი ფეხბურთის ჭეშმარიტი ზეიმი იყო.

– მოთამაშისა და მწვრონელის რანგში ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიგიღიათ მონაწილეობა. ყველაზე მეტად რომელი მათგანი მოგეწონათ?

– ჩემგან, ალბათ, გერმანიაში ჩატარებული მუნდიალის დასახელებას მოვლით. ცხადია, ორმოცი წლის წინ მოპოვებული ტრიუმფით გამონწვეული სიხარული სიცოცხლის ბოლომდე გამყვება, მაგრამ ყველაზე დიდი სიამოვნება მაინც მექსიკის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა მომგვარა. ამ ტურნირზე პრაქტიკულად ყველა შეხვედრა ფეხბურთის ნამდვილ ზეიმად იქცა, ხოლო ისეთი თვალწარმტაცია, დაძაბული და საინტერესო მატჩები, როგორებიც: ინგლისი-ბრაზილია, გერმანია-ინგლისი და იტალია-გერმანია იყო, მომდევნო მუნდიალებზე, ჩემი აზრით, არ გამართულა. უპირველესი საფეხბურთო ფორუმის უმაღლეს დონეზე ჩატარებას, მექსიკის მოსახლეობის ყველა ფენამ დიდად შეუნყო ხელი. ტრიბუნებისა და სტადიონების ფარგლებს გარეთაც, მეტად კეთილგანწყობილი სიტუაცია სუფევდა. დღევანდელი საფეხბურთო ბატალიების მსვლელობისას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მიღებული და წესრიგის მრავალრიცხოვანი მცველები გვერდზე ზედმეტი ერთი ნაბიჯის გადადგმის საშუალებასაც არ გვაძლევენ, 1970 წელს კი მთელს სტადიონზე გასახდელიდან მოედნისაკენ მიმავალ გვირაბში ერთადერთი პოლიციელი იდგა, რომელიც ასპარეზობათა დაწყებამდე მთქნარებით გახლდათ დაკავებული, ხოლო მსაჯის სასტარტო სასტვენისთანავე

ვანდელი გადასახედიდან მთლიან შეჯიბრებას ანალიზს რომ ვუკეთებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, მექსიკაში ხელმეორედ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები კვლავ შემოქმედებითი ფეხბურთის ჭეშმარიტი ზეიმი იყო.

– მსოფლიო ჩემპიონატებზე თქვენს მიერ გატანილი გოლებიდან რომელ მათგანს გამოჰყოფდით?

– მუნდიალებზე არცთუ დიდი რაოდენობის ბურთები მაქვს შეგდებული მონინაღმდეგეთა კარში, რაც გარკვეულწილად იმით აიხსნება, რომ 1970 და 1974 წლების ტურნირებზე მცველის ფუნქციების შესრულებით გახლდით დაკავებული. ინგლისის მუნდიალზე კი შუახაული ვიყავი და თავიც რამდენჯერმე გამოვიჩინე. ყველაზე მნიშვნელოვნად ის დარტყმა მიმაჩნია, რომლის მეშვეობითაც ნახევარფინალში საბჭოთა კავშირს ვძლიეთ და თანაც იმ პერიოდისათვის პლანეტის საუკეთესო გოლკიპერის, ლევ იაშინის დაშამათება მოვახერხე.

– სხვების მიერ გატანილი ბურთებიდან რომელს გაიხსენებდით?

– ძნელი სათქმელია... აბა, რომელმაც მუნდიალმა

ჩაიარა ისე, რომ მისი მსვლელობისას ათეულობით ლამაზი გოლი არ გასულიყოს, მაგრამ რადგან კონკრეტულად ერთი მათგანის გამოყოფა მთხოვეთ, პირდაპირ გეტყვი, 1966 წელს ლოთარ ემერიჰის მიერ ესპანელთა კარის დალაშქვრისნაირი ეფექტური დამაგვირგვინებელი დარტყმა მომდევნო ტურნირებზე არ ყოფილა. მაშინ პირინეის ნახევარკუნძულის წარმომადგენლებს 2:1 მოვუგეთ, რამაც მეოთხედფინალის საგზური გაგვინაღდა, ხოლო თუ ჩემი სიტყვების მართებულობაში ეჭვი შეგაქვთ, იმ მატჩის კინოფირი არსებობს და ლოთარის დიდოსტატური დარტყმა თავად შეგიძლიათ იხილოთ.

– მსოფლიოს პირველობებზე თქვენს მიერ ჩატარებული პირველი შეხვედრა თუ გახსოვთ?

– რა დამავინყებს 1966 წლის 12 ივლისს. სწორედ იმ დღეს შეფილდის „ჰილსბოროზე“ ჩემი სამუნდიალო ნათლობა შედგა, რომელიც მეტად ილბლიანი გამოდგა: მე ორჯერ გამოვიჩინე თავი, ხოლო შვეიცარიელები 5:0 გავაცამტყვერეთ. ასეთი ილბლიანი და დამაჯერებელი სტარტის შემდეგ ფინალამდე ერთი ამოსუნთქვით მივედი – თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ლონდონის ლეგენდარულ „უემბლიზე“ ილბალმა და მსაჯებმა გაგვჩირეს.

– როგორ თვლით, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება დღეს უფრო ძნელია თუ უწინ?

– უწინდელში, ალბათ, იმ პერიოდს გულისხმობთ, როდესაც მსოფ-



1974 წელი



1990 წელი

ლიოს ჩემპიონატებზე მონაწილეობას 16 ნაკრები იღებდა. დღეს ფიფას თასს ერთმანეთს ორჯერ მეტი რაოდენობის გუნდი ეცილება, თუმცა, ვთვლი, რომ რაოდენობა ხარისხში არ გადასულა. ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ ჩემპიონს საბოლოოდ ერთი მატჩით მეტის ჩატარება უნევს და ყოველი დამატებითი 90 თუ 120 წუთი ძალების მაქსიმალური დატვირთვით თამაშს მოითხოვს, რაც მომქანცველი სეზონის შემდეგ მეტად რთული საქმე გახლავთ.

**– ფეხბურთელობისას სხვა რომელიმე ქვეყნის ნაკრების დაცვაზე თუ გიოცნებიათ?**

– ყოველთვის ვამაყობდი ჩემი გერმანელობით და მშობლიური ქვეყნის ღირსება 103-ჯერ დავიცავი. ისე, სხვადასხვა სიმბოლურ ნაკრებებში არგენტინელ, იტალიელ და ესპანელ ფეხბურთელთა გვერდგვერდ მთავარეზი და მათი პარტნიორობით უდიდესი სიამოვნებაც მიმიღია.

**– როგორ გგონიათ, 1974 წლის გერმანიის სანაკრებო მოდელი დღევანდელ ეროვნულ გუნდს დაამარცხებს?**

– ასეთი პარალელების გავლების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. სპორტის არც ერთი სახეობა, მათ შორის ფეხბურთი ერთ ადგილას არ დგას და ვითარდება. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჰელმუტ შიონის განკარგულებაში უფრო მეტი კაშკაშა ვარსკვლავი იყო, ვიდრე დღესდღეობით იოჰან ლიოვს შეუძლია გამოიყვანოს, მაინც მიმაჩნია, რომ თანამედროვე ნაკრები 40 წლის უწინდელ გუნდს სისწრაფეში მაინც დაჩაგრავდა და ალბათ დაგვამარცხებდა კიდევ. ისე, 35-40 წლის წინანდელი ფეხბურთი უფრო რომანტიკული ხასიათისა იყო. ფეხბურთელებს ინდივიდუალური ოს-

ტატობის გამოჩენის მეტი საშუალება ჰქონდათ. მოედანზე უფრო დიდი ცარიელი სივრცეები იყო და მცველებიც შუახაზებებსა თუ თავდამსხმელებს ფეხებზე ჩამოკიდებული არ ჰყავდათ. შესაძლებელი იყო ერთი-ორი უზუსტობა დაგეშვა და ასპარეზობის ბედი

მაინც ნაღმა შემოგეტრიალებინა. დღესდღეობით კი, დაპირისპირების შედეგს ხშირად ერთადერთი შეცდომა განსაზღვრავს ხოლმე.

**– ბევრ ალიარებულ დიდოსტატს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი არ ღირსებია. თქვენი აზრით, რომელი ფეხბურთელები შეიძლება შევიყვანოთ „დაჩაგრულთა“ სიაში?**

– კითხვის დასმისას, ალბათ, იოჰან კრუიფს გულისხმობთ. ეს ადამიანი არასდროს ყოფილა მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონი, თუმცა ფეხბურთის განვითარების საქმეში კრუიფმა ისეთივე წვლილი შეიტანა, როგორც თავის დროზე ალფრედო დი სტეფანომ, პელემ, დიეგო მარადონამ და მიშელ პლატინიმ. მიაქციეთ ყურადღება ჩემს მიერ ჩამოთვლილი კვარტეტიდან, იოჰანის მსგავსად, დი სტეფანოსა და პლატინისაც არ ღირსებიათ მუნდიალის ოქროს მედლით მკერდის დამშვენება. ვფიქრობ, თქვენს კითხვას ამომწურავი პასუხი გავეცი.

**– მოარულ სმებს თუ დაკუჯერებთ, დღეს მოქმედ ფეხბურთელებს შედარებით ნაკლებად პრესტიჟულ ამბად მიაჩნიათ მსოფლიოს პირველობებზე მონაწილეობის მიღება, ვიდრე ეს თუნდაც თქვენი მოთამაშეობისას იყო...**

– არა მგონია ასე იყოს. უბრალოდ, დღეს პროფესიონალ ფეხბურთელებს ფაცილებით მეტი რაოდენობის ტურნირში აქვთ თავის გამოჩენის საშუალება. ავიღოთ თუნდაც

ჩემპიონთა ლიგის ეგიდით გამართული შეხვედრები. ამ ბატალიებს ხომ თითქმის მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს და კონტინენტის უპირველესი საკლუბო ტურნირის ფინალს არანაკლები ტელეაუდიტორია ჰყავს, ვიდრე მსოფლიოს პირველობის გადამწყვეტ შეხვედრას.

**– თქვენ მეტად ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერა გქონდათ და მოპოვებული ტიტულების რაოდენობით გვერდზე ძალიან ცოტა მოთამაშე დაგიდგებათ, მაგრამ ფეხბურთი მაინც სპორტის ისეთი სახეობაა, რომელშიც უიღბლობაა თუ წარუმატებლობისაგან დაზღვეული არავინაა. არა გგვონია, ავაღვანსენებელი მომენტები თვით ფრანც ბეკენბაუერსაც კი არ ჰქონდეს...**

– ცხადია, ასეთი მატჩები საკმარაოდენობისა იყო და რამდენიმე მათგანზე თქვენი ყურადღება ზემოთაც გავამახვილე. ახლა კი, ერთი შეხვედრა მსურს გამოვყო, რომელიც სამწუხარო მომენტთან ერთად კურიოზული ამბითაც გამოირჩა. 1999 წელს ბარსელონაში გამართულ ჩემპიონთა ლიგის ფინალს ვგულისხმობ. „ბაიერნისა“ და „მანჩესტერის“ დაპირისპირება დასასრულს უახლოვდებოდა, ჩვენ 1:0-ს ვიგებთ, გვერდზე უეფას პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი მიდგას, რომელიც უკვე გამარჯვებას მილოცავს, ხელს მართმევს და თასის ჩვენთვის გადმოსაცემად გვირავის სიახლოვეს მიეშურება. ორიოდ წუთში იოჰანსონი თასით ხელში კვლავ ჩემს სიახლოვეს ბრუნდება, თუმცა, უხერხულობისაგან თვალს ველარ მისწორებს. სულ რაღაც წუთნახევარში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ორი გოლი გაგვიტანა – ამ ფაქტმა კი ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან ერთად მეც გვარიან შოკში ჩამაგდო.

მოამზადა  
გორა კაჭარავამ



1990 წელი

# თემუხ ქეცბაია



თემურ ქეცბაიამ საფეხბურთო კარიერა სოხუმის „დინამოში“ დაიწყო, 1987 წელს კი თბილისის „დინამოში“, გადავიდა და იქიდან მოყოლებული მისი კარიერაც განვითარდა. ქეცბაიამ თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არაერთი ისტორიული ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში... 1989 წლის 27 ოქტომბერს, კიევში, მატჩის მე-80 წუთზე თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ბოლო გოლი გაიტანა. ის მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა, ხოლო მე-80 წუთზე გატანილი გოლის ავტორი თემურ

ქეცბაია იყო.

შემდეგ ქეცბაიამ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სამ პირველობაში გაიმარჯვა და 1992 წელს ევროპისაკენ აიღო გეზი... ჯერ ნახევრად სამოყვარულო ფამაგუსტას „ანორთოსისში“ თამაშობდა,

შემდეგ ათენის „აეკში“ გადავიდა და პარალელურად საქართველოს ნაკრებშიც მაღალ დონეზე ასპარეზობდა. მისი თამაში მეტრძოლი სულისკვეთებით გამოირჩეოდა. თემური ბოლომდე იხარჯებოდა თამაშის დროს და გოლის გატანის შესანიშნავი ალლოქ ჰქონდა. თემურ ქეცბაია საქართველოს ნაკრების პირველი ოფიციალური გოლის ავტორიც გახლავთ. მან ინგლისურ პრემიერლიგაში გამონართობილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ

უელსის ნაკრებს ძალიან ლამაზი გოლი გაუტანა, რომელსაც აღნიშნულ მატჩში მეორეც მიაყოლა და საქართველომ ქეცბაიას ჩინებული ასპარეზობის წყალობით უელსელები ანგარიშით 5:0 გაანადგურა.

ქეცბაიას გოლი ინგლისური კლუბის „ნიუკასლის“ ისტორიაში ოქროს ასობით არის შესული! 1997-1998 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის განმეორებით შეხვედრაში, დამატებითი დროის 119-ე წუთზე, თემურის გოლმა „ნიუკასლი“ თავისი ისტორიის მანძილზე პირველად გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

მოგვიანებით თემურ ქეცბაია ერთ დროს სამოყვარულო გუნდის „ანორთოსისს“ მოთამაშე მწვრთნელი გახდა, ხოლო მისი მეცადინეობით ამ კლუბმა, კვიპროსულ საკლუბო ფეხბურთს უდიდესი აღიარება მოუტანა. „ანორთოსისი“ პირველი კვიპროსული გუნდი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა და იქაც თავი ღირსეულად წარმოაჩინა.


## ბრტორ აგვისსნა თქსბურთმა მსოფლიო

ერთი ქალაქის ორ გუნდს შორის დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩევა, მაგრამ „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ მტრობა უფრო მეტია, ვიდრე ერთი ქალაქის ორ გუნდს შორის შუღლი - ეს პროტესტანტული რეფორმაციის დაუსრულებელი პროცესია. 1999 წელს მატჩის შემდეგ, ორსაათნახევარში, პოლიციაში მოხვედრილთა დავთარში „რეინჯერსელთა“ მიერ ჩადენილი შემდეგი დანაშაულებანი აღინუსხა: „სელტიკის“ კლუბიდან გამოსვლისას 20 წლის კარლ მაკგრაოტის მკერდში ესროლეს არბალეტი; 25 წლის ლიამი სასიკვილოდ სცემეს ჩინურ სასადილოში, რადგან მას მწვანე მაისური ეცვა; თექვსმეტი წლის ტომას მაკფადენი დანით დაჭრეს გულმკერდში, საზარდულსა და მუცელში, მაშინ როდესაც ის ირლანდიურ პაბში ფეხბურთს უყურებდა. გლაზგომ საფეხბურთო ტრიაბალიზმი შეინარჩუნა, რადგან ის ქალაქს, ასე ვთქვათ, გარკვეულ „პორნოგრაფიულ“ სიამოვნებას ანიჭებს. „სელტიკის“ ხელმძღვანელობამ ნაჩქარევად შემოიერთა არაკათოლიკე ფეხბურთელები და ისინი მწვანე და თეთრი ფერით განწყობილი მაისურებით შემოსა. „რეინჯერსს“ ასეთი რამე არ გაუკეთებია. დაახლოებით პირველი მსოფლიო ომის დროს დანესდა, რომ „რეინჯერსში“ ფეხბურთელებით დაწყებული, მასაჟისტით დამთავრებული ყველა პროტესტანტი უნდა ყოფილიყო. თანდათან წესები უფრო გაამკაცრეს და ის, ვინც კათოლიკეზე დაქორწინდებოდა, ვეღარ დანაშაურდებოდა.

ახლა უკვე ვხვდებით, რას გულისხმობდა დამი, როდესაც ყურში ჩამჩურჩულებდა ხოლმე: „არასდროს დავიქირავებ „სელტიკის“ გულშემატკივარს“. როდესაც „სელტიკმა“ თამაშის მეოცე წამზე გოლი გაიტანა, უცხო ადამიანი უკნიდან მომეხვია და სკა-

მიდან ამქაჩა. ამ დროს მობილური ამომივარდა და ორი რიგით ქვემოთ ჩავარდა. ჩვენ ტრიბუნაზე ყველა „რეინჯერსის“ გულშემატკივართა მხარეს შეტრიალდა და სიმღერა წამოიწყო, რომელიც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (IRA) გამირობას განა-

დიდებდა. სიტყვები არ ვიცოდი და ირლანდიურ ინგლისურსაც ძნელად ვარჩევდი, მაგრამ ზოგიერთი ფრაზა ძალიან





ლონდონური დუელი: „ჩელსი“-„ტოტენჰემი“

ადვილი გასარკვევი იყო: „შევეცი დედოფალს“, „სტაფილოსფერი ნაბიჭვრები“ და ასე შემდეგ...

მან (დონალდ ფინდლეი) ხუმრობით, იმედია ხუმრობით, გამომიცხადა, რომ ბრიტანეთის მოქალაქეობის მისაღებად საუკეთესო გამოცდაა – ადამიანს აჩვენო რაზმი, რომელიც მოაფრიალებს დედოფლის სამეფო ფერებიან დროშებს. თუ ამ სანახაობისას მას თვალზე ცრემლი არ მოადგა, მაშინ კარგად იყოს!“

შოტლანდიაში „რეინჯერსმა“ თავისებურად ეკლესია ჩაანაცვლა. ფინდლეიმ ასეთი ჰიპოთეზა ჩამოაყალიბა: „ადამიანი არ შეიძლება დაამცირო რელიგიური მრწამსის გამო. მე თუ მინდა, სამსახურში დავიქირავებ შავკანიან, ლესბოსელ, კათოლიკე თანამშრომელს, პრობლემა არ არის, მაგრამ ნუთუ ამის შემდეგ არ მაქვს უფლება ვთქვა, რომ დიდად თავს არ ვიტყვივებ, კათოლიკური რელიგიით, რომელიც კერპებს განადიდებს“. ფინდლეიმ ასევე დაამატა, რომ შოტლანდიელებს უფლება აქვთ თქვან: „მღვდლები მდიდრდებიან და ძვირფასეულობით იკაზმებიან, მაშინ, როდესაც ხალხი სიღატაკეში ცხოვრობს“.

ბორანზე ხშირად ორივე კლუბის - „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ მხარდამჭერები ერთად მგზავრობენ. ამიტომ არსებობს ქცევის დაუნერველი კანონები - მასპინძელი გუნდის ფანებს უფლება აქვთ ხმამაღლა და უზრდელურად იმღერონ, ჩამოსული გუნდის გულშემატიკვარი კი არ ენიხანალმდეგება მათ.

\*\*\*

ჰაკოას ისტორიაში ყველაზე დაძაბული თამაში 1924-1925 წლების სეზონში გაიმართა. მონიხალმდეგე გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე ჰაკოას გუნდის უნგრულ მეკარე ალექსანდრ ფაბიანს დიდი ძალით დაეჯახა მაშინ, როდესაც ის ბურთს იღებდა. ფაბიანი მხრით დაეცა და იმდენად დაშავდა, რომ მის კარში დგომას

აზრი აღარ ჰქონდა. იმდროინდელი წესების თანახმად, ფეხბურთელის გამოცვლა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ფაბიანი მოედანს შემოხვეული და ყელზე ჩამოკიდებული ხელით დაუბრუნდა, თავის თანაგუნდელს ადგილი გაუცვალა და მარჯვენა თავდამსხმელად დადგა. სავალალო ტრავმის მიღებიდან შვიდ წუთში ჰაკოას გუნდი შეტევაზე გადავიდა, ფეხბურთელმა ერნო შვარცერმა ბურთი ფაბიანს ჩაანოდა, რომელმაც ბურთი მონიხალმდეგის კარში შეაგდო. ამ გოლით ჰაკოა ჩემპიონი გახდა.

\*\*\*

1994 წელს, „ტოტენჰემელე-ბი“ ქერა გერმანელ ფეხბურთელს, იურგენ კლინსმანს ასეთი სიმღერით შეეგებნენ: „ჩიმ-ჩიმინი, ჩიმ-ჩიმინი, კლინსმანი იყო გერმანელი, ახლა არის ებრაელი“.

ყველა კლუბს ჰყავდა გულშემატიკვარი, რომელიც „ტოტენჰემს“ აძაგებდა მისი მოთაყვანე ებრაელი სათვისტომოს გამო, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტად „ჩელსი“ გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსის“ ქომაგთა შორის თითქმის იმავე რაოდენობის ებრაელი იყო, მათ ყველაზე ამაზრზენი სიმღერა შეთხზეს: „პიტლერი ისევ გაზით გაგგუდავთ, ვერ ვაჩერებთ ტოტენჰემელ ურიებს“; „გაზით გაგუდეთ ებრაელი, ებრაელი, ებრაელი. ჩააგდეთ ლუმელში და დანვით ებრაელი“.

1980 წელს, როდესაც „ტოტენჰემი“ გასვლით თამაშზე „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ წარსდგა, მეტოქეებმა ლონდონელებს ასეთი სიმღერა უმღერეს: „ამ ლამეს პენისამოგდებულნი ვირბენთ „ტოტენჰემის“ გარშემო, ამ ლამეს პენისამოგდებულნი ვირბენთ „ტოტენჰემის“ გარშემო, მე მაქვს ჩუჩა, მე მაქვს ჩუჩა, მე მაქვს ჩუჩა, შენ კი არა, ჩვენ გვაქვს ჩუჩა, ჩვენ გვაქვს ჩუჩა, ჩვენ გვაქვს ჩუჩა, თქვენ კი - არა“. „ტოტენჰემელებმა“ ეს შეტევა უპასუხოდ არ დატოვეს. ებრაე-

ლი გულშემატიკვრები გაერთიანდნენ, შარვლები ჩაიხადეს და უტიფრად დაანახეს წინადაცვეთილი ასოები. ეს იმდენად მოულოდნელი და სასაცილო იყო, რომ მონიხალმდეგე მხარემ ველ-არაფრით უპასუხა.

კომფორტულმა გარემომ განაპირობა ის, რომ ბუდაპეშტის ებრაელი საზოგადოება ყველაზე მასშტაბური და მზარდი საზოგადოება გახდა მთელ პლანეტაზე. აქედან გამომდინარე ჯეიმს ჯოისმა ქალაქს „ყუდაპესტ“ დაარქვა, ხოლო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, თითქოსდა მუშათა კლასის უფლებების დამცველი იყო, მაგრამ ყველაზე ღიად გამოხატავდა თავის ქედმაღლურ დამოკიდებულებას ფეხბურთის მიმართ. როგორც რკინის ქალბატონის ახლო მეგობარმა კენეთ კლარკმა თქვა: „ის ფეხბურთის გულშემატიკვრებს შიდა მტრებად აღიქვამდა“. ამის მიზეზი კი ფეხბურთში ებრაულ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირებები გახდა.

ახალმა კლიენტურამ შეცვალა ძველი - ხმაურიანი მუშათა კლასის გარემოცვა. ალან გარისონმა ეს ტრანსფორმაცია შემდეგნაირად ახსნა: „ადრე ათი ათასი კაცი მოდიოდა სტადიონზე. აქედან ექვსი ათასი საჩხუბრად იყო მოსული, დანარჩენი კი - ამ ჩხუბის საყურებლად. თამაშის შემდეგ ვინმეს თუ ჰკითხავდით, რას უყურა, ჩხუბს თუ თამაშს, სიამაყით გიპასუხებდა, რომ რა თქმა უნდა, ჩხუბს“. ალანს თვითონვე ეცინებოდა თავის ამ დაკვირებაზე: „ახლა ხალხი მართლა თამაშის საყურებლად მოდის და მერე თავი მოაქვთ, რომ „ჩელსის“ თამაშზე იყვნენ. მე, როცა ვდგები და სიმღერას ვინყებ, მეუბნებიან, დაჯექიო“.

\*\*\*

იტალიელ რეჟისორ პიერ პაოლო პაზოლინის თუ დავესესხებით, ევროპული ფეხბურთი პროზაა, ბრაზილიური კი - პოეზია. როგორც ყველა ბრაზილიური ამბავი, ბუნებრივია



ირანელი გულშემატიკვარი

ფეხბურთის ისტორიაც ასე იწყება: იყო ერთი მეფე, სახელად ედსონ არანტეს დო ნასიმენტო ანუ პელე. 1960 წელს მთავრობამ პელე „არაექსპორტირებად ეროვნულ საგანძურად“ გამოაცხადა.

1985 წელს, სამხედრო დიქტატურის მიწურულს, ბრაზილიაში მდიდრებისა და ღარიბების შემოსავალთა შორის ყველაზე დიდი სხვაობა იყო მთელს მსოფლიოში. პელემ ჟურნალ „TIMES“-ს თვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ამერიკამ ბევრი რამ ასწავლა: „ოჯახის წევრებთან ბიზნესის წარმოება შეუძლებელია. კომპანიაში პრეზიდენტად არ უნდა დანიშნო ადამიანი მხოლოდ იმის გამო, რომ ის შენი მეგობარი ან თუნდაც ძმაა. აუცილებელია დანიშნო ნიჭიერი ადამიანი. ბიზნესი ბიზნესია, მტკიცედ უნდა დადგე“.

\*\*\*

უკრაინელებს მსოფლიოში ყველაზე არაშემოქმედებითი დამოკიდებულება აქვთ ფეხბურთისადმი, რისი ფუძემდებელიცაა მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი, პროფესიით სანტეჟნიკოსი. ის ფეხბურთს მარქსისტული ფილოსოფიის ჭრილში ხედავდა და სჯეროდა, რომ მათემატიკური გათვლებითა და თამაშისადმი მეცნიერული მიდგომით შესაძლებელი იყო დიდი წარმატების მიღწევა. მან შექმნა სისტემა, რომელშიც თამაშის ყველა მოძრაობას რიცხვითი მნიშვნელობა შეესაბამებოდა. მისი გეგმის მიხედვით, მეცნიერები აღნუსხავდნენ ყველა პასს, ბურთის ართმევას, დარტყმას, შედეგიან თუ უშედეგო გადაცემებს... ბოლოს, ყველა ეს მონაცემი კომპიუტერში შეჰქონდათ, რომელიც ავტომატურად უბრუნებდა ინფორმაციას მოთამაშის „ინტენსივობას“, „აქტიურობის“, „ეფექტურობისა“ და „შეცდომების სიხშირის“ შესახებ.

\*\*\*

1960 წლის დასაწყისში იტალიელები თამაშისას იყენებდნენ თავდაცვით სტრატეგიას - კატენაჩოს, ე.წ. შეუვალ დაცვას. მათ გააძლიერეს დაცვა და ინდივიდუალური მეურვეობა დაანესეს მეტოქე გუნდის ფეხბურთელებზე. ასეთ დროს თავდადებულები შეტევებზე ნაკლებად გადადიან და ელვისებურად გოლები მხოლოდ კონტრშეტევების დროს გააქვთ. ამ ტაქტიკის გამოყენებით გოლს იშვიათად იტანენ - თამაშის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ. ასეთი ცოტა საგოლე მომენტებითა და ამავე დროს, შეცდომის დაშვების ძალიან მცირე

ალბათობით ყველაფერს აკეთებენ, რათა დადებით შედეგს მიაღწიონ. ისინი იშველიებენ ტრადიციულ იტალიური ქვეყნისათვის დამახასიათებელ მანერას - ორივე ხელის ქნევით, მსაჯების მისამართით თავგამოდებით გაყვირიან - მამმა მია-ს.

1999 წელს გაზეთ „Gazzetta dello Sport“-ში დაიბეჭდა, რომ რომაულმა გუნდმა „რომა“ ერთ-ერთ ღონისძიებაზე იტალიის ყველა წამყვან მსაჯს გადასცა 13,500 აშშ დოლარის ღირებულების როლეტის საათი. ამ ღონისძიებას შეარქვეს „საათების ღამე“. ყველა მეუბნებოდა, რომ ეს ახლოსაც ვერ მოვიდოდა იმ შოუებთან, რომლებსაც ბერლუსკონი წლების განმავლობაში დგამდა. მათ შორის იყო ეპიზოდი, რომელსაც შეარქვეს „აპოკალიფსი დღეს“. როდესაც ბერლუსკონიმ „მილანი“ იყიდა, მან საზო-



სილვიო ბერლუსკონი

გადოებას ფეხბურთელები შემდგენიარად წარუდგინა - სტადიონზე ვაგნერის „ვალკირიების გაფრენა“ ჟღერდა, არენაზე კი ფეხბურთელები ვერტმფრენით დაეშვნენ.

იტალიელ მემარცხენეებს კიდევ ერთი ჭირი სჭირთ - სონობიში. იტალიელებმა ბერლუსკონი და კლუბი „მილანი“ იმიტომაც შეიძულეს უფრო მეტად, ვიდრე ანიელი და „იუვენტუსი“, რომ ის უფრო დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელი იყო. ერთი გაზეთის მესვეტემ მითხრა: „მას შემოაქვს დაბალი ინტელექტუალური დონის ამერიკული სატელევიზიო შოუები, უხამსად ხუმრობს და უკადრისად იქცევა“.

\*\*\*

„ბარსელონას“ მოდერნიზებული ესთეტიკის წყარო მისი მემარცხენე პოლიტიკაა. 1930-იანი წლების ანარქიის დროს „ბარსა“ მუშათა კოალიციად იქცა. ეს მემკვიდრეობა „ბარსას“ დღემდე მოჰყვება - ფეხბურთის ლუდისა და ბურგერების ჭამით უნდა უყურო და არა კაპუჩინოს წრუპვითა და სიგარეტის ქაჩვით.

მანუელ ვასკეს მონტალბანი წერდა: „ფრანკოს ხელქვეითი ოკუპანტები

ქალაქში შემოიჭრნენ. იმ ორგანიზაციათა სიაში, რომლებშიც წმენდა უნდა ჩატარებინათ - „ბარსას“ საფეხბურთო კლუბი მეოთხე ნომრად იყო შეტანილი კომუნისტების, ანარქისტებისა და სეპარატისტების შემდეგ.

რეპრესიები და ტრიუმფი - ფეხბურთის პოლიტიზირებული ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული კითხვაა. უმბერტო ეკომ ეს კითხვა ასე დასვა: „ნუთუ შესაძლებელია, რომ რევოლუცია ფეხბურთის მატჩის დღეს მოხდეს?“ „ბარსელონასთვის“ ეს ყველაზე უხერხული კითხვაა. მათ გულშემატკივრებს თავი სწორედ იმით მოჰქონდათ, რომ სტადიონზე საშუალება ჰქონდათ გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება რეჟიმის მიმართ. მათ გამბედაობას მატებდა 100 000 ადამიანი, რომელიც ხმაშეწყობილად მღეროდა. ხალხის დიდი რაოდენობა

მათ უსაფრთხოების განცდას ანიჭებდა. გულშემატკივრები სარგებლობდნენ ამით და ისეთ რამეებს წამოიყვირებდნენ, რასაც ქუჩაში ან კაფეში ვერც კი ნაიზურჩულდნენ. ყველა უცხოელს შეუძლია გახდეს ბარსელონელი, რადგან კატალონიელთა აზრით მოქალაქეობა მემკვიდრეობით არ გადაიცემა - ის უნდა მოიპოვო. კატალონიელი რომ გახდეს, უნდა ისწავლო ადგილობრივი ენა და უნდა უარყო კასტილია. კატალონიური ნაციონალური დოქტრინა არ არის რასისტული ან თეოკრატიული, მაგრამ ის ამ ხალხის მრწამსია. კატალონიური ნაციონალიზმი იმდენად ბეცია, რომ რაც არ უნდა აუტანელი ხასიათი გქონდეს, მაინც მიგიღებს.

საფეხბურთო მოედანზე ამბოხების წამოწყების არა ერთი ფაქტიც ვიცით. „ცრვენა ზვეზდას“ რევოლუციამ, დრაზამ, კრლემ და სხვა ბელგრადელმა ხულიგნებმა ხელი შეუწვეს სლობოდან მილოშვიჩის ჩამოგდებას. 1990 წელს, რუმინეთის ნაკრების მიერ მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო მატჩის მოგებას ბუქარესტის მოედანზე აღნიშნავდნენ. ეს კი იმით დასრულდა, რომ შეიარაღებული რაზმის წევრებმა თავიანთი ავტომატები დიქტატორ ნიკოლაუ ჩაუშესკუსა და მის მეუღლეს მიუშვირეს. პარაგვაელ დიქტატორ ალფრედო შტროსნერის ჩამოსაგდებად დაწყებული ამბოხის საფუძველიც ფეხბურთის მოედანი იყო.

1987 წელს ქვეყნის სულიერმა და პოლიტიკურმა დიქტატორმა, აიათოლა რუჰოლა ხომეინმა, ახალი რელიგიური ბრძანებულება გამოსცა, რომელიც ქალებს ფეხბურთის გულშემატკივრობას ნაკლებად უკრძალავდა.



ხომეინმა გამოაცხადა, რომ ქალებს ამერიიდან უფლება ჰქონდათ ფეხბურთისთვის ტელევიზორში ეყურებინათ. ამ წესის მიღების შემდეგ, მუსლიმთა ცხოვრებაში პირველად, სატელევიზიო არხები ფეხბურთის მატჩებს გადასცემდნენ.

ფეხბურთის საშუალებით ირანელმა ხალხმა შექმნა უფრო ახლებური და ლიბერალური ირანი. რამდენიმე თვით ადრე სწორედ ასეთივე მისწრაფებების წყალობით გაპრეზიდენტდა რეფორმისტი მუჰამედ ხათამი. პირველად მუსულ-

მანური რესპუბლიკის ისტორიაში ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი - ბრაზილიელი ვალდიერ ვიეირა ჰყავდა. როდესაც მატჩის დროს ის ნერვიულობისგან ბოლთას სცემდა, მას ყელზე ყოველთვის ჰალსტუხი ეკეთა. შაჰები მოითხოვდნენ, რომ ჩაცმის ოფიციალური სტილი თანამედროვე ირანის სიმბოლოდ ქცეულიყო. ამას კი სასულიერო პირები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ევროპულ გავლენად აღიქვამდნენ. ვიეირას განვრთნილმა ბევრმა ფეხბურთელმა კარიერა ევროპულსა და აზიურ

ლიგებში გააგრძელა. ეს გლობალურ ეკონომიკაში ირანის ჩართულობის ერთ-ერთი ნიშანი იყო.

2002 წელს, როდესაც ირანმა საუდის არაბეთი, ერაყი და გაერთიანებული ემირატები დაამარცხა, ალტკინებული ფანები გაყვიროდნენ: „გაუმარჯოს თავისუფლებას“ და „ჩვენ გვიყვარს ამერიკა“.

მას შემდეგ, რაც ამერიკის ფინია გახდებოდა, ძნელია შეინარჩუნო ძველებური მოგების ყინი.

ზრანალინ ფორი

## ეგვიპე გულშემატკივარს უწინილი ეგვიპტისა



„მიტხარი როგორი ხასიათი გაქვს და გეტყვი, სპორტის რომელ სახეობას გულშემატკივრობ.“ მთლად შუმერული ანდაზა ვერაა, მაგრამ არის ამაშიც სიმართლის მარცვალი. აი, მე, მაგალითად, ჩაგრულთა ქომაგი ვიყავი ბავშვობიდან ვიდრე ქალობამდე. ნებისმიერ ღონისძიებაზე დამარცხებულის მხარეს ვიდექი. ჰოდა, რალა დაგიმალათ და, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრობაზე ვგოყდებოდი.

ვლანძღავდი სახელმწიფოს, რომელსაც ფული ენანებოდა ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის;

ვცოფდებოდი მსაჯზე, რომელიც სულ დაუმსახურებლად გვიფრიალებდა მენამულ და მზისფერ ბარათებს;

გული მომდიოდა მწვრთნელზე, რომელიც როგორც ჩანს, ბოლომდე არ იხარჯებოდა და საკარაუდოდ, „ერთი ხერხი თავისთვის ჰქონდა შემონახული“;

ვკიცხავდი უ-გულო გულ-შემატკივარს, რომელიც ისედაც დადარდინებულ ჩვენს ბიჭებს ღვარძლიან, მსუყე სიტყვებს დასწყიოდა, თან დუჟს, დორბლს, ქილაში ნარჩენ

ლუდსა და სიმწრის ოფლს ერთად ღვრიდა სტადიონზე...

მოკლედ ყველაზე ვბრაზდებოდი, ფეხბურთელების გარდა. ეგრეა - სიყვარული ბრმა...

არადა, ცოდო ვიყავი მეც. ყოველჯერზე, ფაქტობრივად, მინდორზე კი არა, ჩემს ნერვებზე თამაშობდნენ, ე, დალოცვილები...

ერთხელაც, გავაცნობიერე, რომ ცხოვრება მოკლეა, ნუთია სოფელი, ნერვიულობაზე არ უნდა დახარჯო. რაც შეიძლება მეტ სიხარულს უნდა გამოიჩე ცხოვრებას...

მივხვდი თუ არა ამ მარტივ ჭეშმარიტებას, მაშინვე შევეშვი ქართულ ფეხბურთს და შევიყვარე ქართული რაგბი.

ჰოდა... დიდება შენდა, სპორტის ღმერთო! როგორც ჩემი მეზობელი ეთერა იტყოდა: „ბჯოს, ძლივას არ ამევისუნთქევი?“

გამოგიტყდებით, რალაც პერიოდი რაგბიც და ფეხბურთიც ერთნაირად უინტერესო გახდა ჩემთვის. გეტყვით, რატომაც: თამაში ჯერ დაწყებული არ იყო, მე კი უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ პირველ შემთხვევაში ჩვენი მოგებით დასრულდებოდა და მეორე შემთხვევაში - ნაგებით. ანუ შედეგი წინასწარ ვიცოდი, მოლოდინის ეფექტი დაიკარგა და ინტერესიც ხელს გააყოლა.

საკვირველ არიან ფიქრნი გულშემატკივრისანი...

საბედნიეროდ, ინერტულობამ უკვე გამიარა, ისევ ფორმაში ჩავდექი, მაგრამ როგორც გულშემატკივარს, ერთი, გაგიკვირდებოდა და მისტიკური პრობლემა გამიჩნდა:

ე, ოხერი, რამდენჯერაც რაგბიში ვიმარჯვებოდი, მიხარია, ვსტუნავ, ტაშს ვუკრავ და ბედნიერი ვარ - იმდენჯერ გამოძხვდავს ტელევიზორს უკნიდან შუბლშეჭმუნული ეშმაკი, მერე თავისიანებს თვალს უკრავს და მოდის, ჩამწერჩულებს უკეთურ

აზრებს...

და მე, ამოდენა ბედნიერება-სიხარულიანს, უცებ მახსენდება, რომ ქართველებს რაგბისტების გარდა, ფეხბურთელებიც გვყავს. თავიდან თუ ყიჟინით ვიწყებ:

- აუუ, რა მაგარებია ჩვენი რაგბისტები!!! მიდით, ბიჭებო!!! ყოჩაღ, ბიჭებო!!!

ამ ჩაწერჩულების მერე სიხარულის ყიჟინა მომენტალურად მოთქმაში გადადის:

- ფეხბურთელებს კი არ გვანან. აი, კი ბოროტული აზრია, მაგრამ ფეხბურთში ჩადებული ფულიც ამით უნდა მოახმარონ, რა!.. ვინ არიან, კაცო ისინი?!

ჰოდა ეგრე, სიხარულის ბოლომდე შერგება არ გამოდის.

საქართველო-რუმინეთის მატჩის (რალა თქმა უნდა - მოგების) შემდეგ ჭკუა ვიხმარე: ჯერ მწარე ვთქვი და კვლავ ტკბილი:

- აი, ფეხბურთში ხომ არ ვუქნივართ, მაგრამ ”ზატო“ ჩვენი რაგბისტები რა მაგრებიანა!!! ყოჩაღ, ბიჭებოოო!!!..

ჰოდა ეგრე... მნახა რა ბოლომდე მოხეიმე და კარგხასიათ არჩაშხამებული - ჩაუვარდა ენა მუცელში და კოვზი ნაცარში ”ყურში მწურჩულებელს.“ დარჩა პირში ჩალაგამოვლებული და კუდამოძუებული გაიძურნა!

**P.S. 1981 წლის 13 მაისიც გაგვიგია, ეგრე კი არაა?! მომკალით და მართლა მჯერა: ერთხელაც იქნება, სასიამოვნოდ გაგვაოცებენ ჩვენი ფეხბურთელები (მიხვდებოდით - ოპტიმიზმი ჩემი ხასიათის განსაკუთრებული შტრისია). ბიჭებო, 33 წელი გავიდა, ერთი ქრისტე კი გამოიზრდებოდა ამ პერიოდში და... აბა თქვენ იცით, ალდგომის დროა!**

**ნათია როსტიაშვილი**  
(ლიტერატურული კონკურსის – „ნერო“ 2013 წლის გამარჯვებული)



# საფეხბურთო ტვინსაღრღნელი

1) დაასახელეთ ქალაქი სადაც გაიმართა მსოფლიოს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი: გფრ-სსრკ.



2) ვინ იყო ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე?



3) რამდენ წელიწადში ერთხელ ტარდება (და არა ტარდებოდა) სამხრეთ ამერიკის (კოპა ამერიკა) ჩემპიონატი?



4) დაასახელეთ ქართველი მეკარე, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უსაპარეზია.



5) დაასახელეთ 2011-2012 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ნახევარფინალისტები...



6) 1981 წელს, თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის „დინამო“ გერმანული კლუბი დაამარცხა. ის კლუბი გფრ-ს წარმოადგენდა თუ გდრ-ს?



7) 2013 წელს, რომელმა კლუბმა მოიგო კოპა ლიბერთადორესის გათამაშება?



8) ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის ფინალში, რომელი გერმანელი ფეხბურთელი გახდა ეგრეთწოდებული

„ოქროს გოლის“ ავტორი?



9) დაასახელეთ მთავარი არბიტრი, რომელმაც იმსაჯა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში.



10) დაასახელეთ ქვეყანა, რომლის ეროვნული გუნდიც, საქართველოს ნაკრებს თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი ანგარიშით ჰყავს დამარცხებული.



11) რომელმა პერუელმა ფეხბურთელმა გაიტანა ხუთი გოლი მსოფლიოს 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე?

### „კომენტატორის“ წინა ნომრის „საფეხბურთო ტვინსაღრღნელის“ პასუხები:

1)-არიგო საკი. 2)-სლავა მეტრეველმა. 3)-გოჩა გოგრიჭიანი. 4)-1863 წელს. 5)-1928 წელს. 6)-კოლომბო. 7)-კახა კალაძე. 8)-შვიდი. 9)-იუვენტუსი. 10)-ბრაზილიის ნაკრებს. 11)-პუმპიდო.

### „კომენტატორის“ წინა ნომრის „საფეხბურთო კროსკორდის“ პასუხები.

თარაზულად: 1)-ბონინსენია. 2)-იაია. 3)-ინსი. 4)-დილა. 5)-ლომი. 6)-გიჯა. 7)-აზია. 8)-იუგოსლავია. 9)-მესი. 10)-იგლი.

შვეულად: 1)-ბობანი. 2)-პირსი. 3)-ჭედია. 4)-დამიანო. 5)-ამელია. 6)-ინგლისი. 7)-ჯოვანი. 8)-ზაბალა. 9)-როსი. 10)-ხავი.

გვერდითი უმისჯუშე:  
<https://www.facebook.com/JournalCommentator>







„ადიდასის“ ბურთი „ეიტრუსკო უნიკო“, მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატი, იტალია, 1990 წელი.  
კადრი ფინალური მატჩიდან – გერ-არგენტინა.

an (unlikely) theory of globalization

# HOW SOCCER EXPLAINS THE WORLD

+18

ISSN 2298-0970



9 772298 097000

FRANKLIN FOER